CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# სასურველ ბიზნესპარტნიორებზე ინფორმაციები ღია გახდება

N181/3111/ 10 დეკემბერი 2014 წ
PRESS
ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა
სამშაბათი ალია
ოთხშაბათი ალია
ხუთშაბათი ალია
პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
გამოდის 1995 წლიდან
WWW.ALIA .GE

## ვისი „კლანის“ წევრია შსს-ს გენინსპექციის უფროსად დანიშნული იოსებ გოგაშვილი



და რატომ აბრუნებს ივანიშვილი სახელმწიფო დაცვაში ანზორ ჩუბინიძეს?



## რას უპასუხებს ტრანსპორტის სამსახურის უფროსი საკრებულოს საცობებზე და ყვითელ „მარშრუტკებზე“?



## რისთვის შეხვდა და რაზე ელაპარაკა ლუკა კურტანიძე ივანიშვილსა და ღარიბაშვილს?



## „რესპუბლიკელები“ შსს-დან უშიშროების გამოყოფას მოითხოვენ



## ნეტა, ყოფილა შემთხვევა, რომ ღარიბაშვილს ივანიშვილის რჩევა არ გაეთვალისწინებინა?

ირაკლი ღარიბაშვილი: „არ დამიმალავს, რომ, როდესაც საჭიროდ ვთვლით და მნიშვნელოვან საკითხებზე გვაქვს მსჯელობა, შეიძლება დავურეკო მას და ვკითხო აზრი და რჩევა“



## „ქრონიკაში“ გასული სტატიის გამო რესპონდენტს 50 000 ლარს სთხოვენ



## რა უზუსტობები აღმოაჩინა ზურაბ კიწმარიშვილმა თავისი ძმის საქმეში?

## რა ხდებოდა მატარებელში, რომლითაც ივანიშვილმა ურეკიდან იმგზავრა?





## შსს-ს და პროკურატურის პარალელურად დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახური იქმნება?



## რა მზაკვრული და ფართომასშტაბიანი გეგმა აქვს რუსეთს საქართველოს მიმართ?




## „ქართუს“ „ოდეერები“

საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერის ირმა ნადირაშვილის განცხადებით სახელისუფლებო სტრუქტურებში შსს-ს ე.წ. „ოდერების" პარალელურად „ქართუს" „ოდეერებმა“ დაიწყეს მუშაობა. განცხადება ამის შესახებ ნადირაშვილმა საკუთარ „ფეისბუქის“ გვერდზე განათავსა.

„ამ კვირიდან სახელმწიფო სტრუქტურებში შსს-ს ოდეერების პარალელურად მუშაობა დაიწყეს „ქართუს“ ოდეერებმა. მათი ერთადერთი მოვალეობა, ღარიბაშვილის და მისი კადრების კონტროლი იქნება". – წერს ნადირაშვილი (პირველი რადიო)

## პროკურატურა მერიის შესყიდვების საქმეს იძიებს




პროკურატურაში „თბილისობის“ დღესასწაულთან დაკავშირებული შესყიდვის საქმეზე პროკურატურაში გამოძიება მიმდინარეობს. დედაქალაქის მერია ინფორმაციას ადასტურებს:

„მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია, რომ საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლები იმყოფებიან თბილისის მერიაში და მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები „თბილისობის“ დღესასწაულთან დაკავშირებული შესყიდვის დოკუმენტაციის ამოღების მიზნით, სიმართლეს არ შეესაბამება.

რომ აღნიშნულ საკითხზე მთავარ პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება ხსენებული შესყიდვების კანონიერების დასადგენად და გამოძიების პროცესში თბილისის მერია აქტიურად არის ჩართული. ვინაიდან საზოგადოებაში გაჩნდა კითხვები თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით განხორციელებულ შესყიდვებზე, თბილისის მერია გამოძიებას მიაწოდებს სრულ დოკუმენტაციას, რისი მოგროვების პროცესიც მიმდინარეობს და აპირებს მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელებას გამოძიებასთან სიმართლის დასადგენად“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)



## შსს-მ ფოთში მომხდარი ძარცვის ფაქტი გახსნა

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ფოთის საქალაქო სამმართველოსა და ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მეორე განყოფილების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული ნიკა ზ., 1994 წელს დაბადებული ნუგზარ გ. და 1987 წელს დაბადებული ირაკლი ჟ. ძარცვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა 30 ნოემბერს, გვიან ღამით, ფოთში, ძალის გამოყენებით შეაღწიეს ცისანა კ-ს ბინაში. მათ ბინის პატრონსა და მის ქალიშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, სიცოცხლის მოსპობის მუქარით, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ 2400 აშშ დოლარს და 12 857 ლარად შეფასებულ ოქროს სამკაულებს, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულების დაკავებისას ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, გატაცებული ოქროული და თანხის ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს. სამივე დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. (ნიუპოსტი)

## „პრემიერის გადაყენება ასე მარტივად არ ხდება“



პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მისი გადაყენების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება.

„რაც შეეხება ჭორებს, რომ პრემიერი სხვა იქნება, იმდენად სასაცილოა, რომ არც კი ვიცი, უნდა გიპასუხოთ თუ არა. პრემიერ-მინისტრი არის მთავრობის მეთაური, რომელსაც ამტკიცებს პარლამენტი და ჩვენ ვართ სახელმწიფო. პრემიერ-მინისტრის გადაყენება არ ხდება ასე მარტივად დემოკრატიულ სახელმწიფოში. მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას და როდესაც რამდენიმე მინისტრი შევცვალე, ჩემი მოტივაცია იყო ის, რომ უფრო ეფექტური გავხადო მთავრობა“, – განაცხადა პრემიერმა. (ნიუპოსტი)



## „კაბელების საქმის ადვოკატების განცხადება დემაგოგიაა“

მთავარი პროკურორის მოადგილე ირაკლი შოთაძე დემაგოგიას უწოდებს კაბელების საქმის ადვოკატის განცხადებებს, რომლის თანახმადაც, საქმეში დაკავებულთა ბრალის დამადასტურებელი მტკიცებულება არ არსებობს

მისი თქმით, მასალებში საკმარისი მტკიცებულებებია, რითაც დანაშაული დასტურდება.

„არის თუ არა საქმეში საკმარისი მტკიცებულებები ამას სასამართლო გაარკვევს. პროკურატურა ყველა მტკიცებულებას წარადგენს სასამართლოში. ადვოკატების განცხადებები კი დემაგოგია და სპეკულაციაა“, – განაცხადა შოთაძემ.

ე.წ. კაბელების საქმეზე დაკავებულთა ადვოკატებმა საქმის მასალების გაცნობა დაასრულეს. დაცვის მხარის მტკიცებით, პროკურატურის მიერ გადაცემულ მასალებში ბრალის შესახებ მტკიცებულება არ არსებობს. ადვოკატები მათი დაცვის ქვეშ მყოფთათვის პატიმრობის შეფარდების გასაჩივრებას აპირებენ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ლაგოდეხის რაიონში ავარიას მამაკაცი ემსხვერპლა




ლაგოდეხის რაიონის სოფელ ნინიგორში ავტოსაგზაო შემთხვევას 50 წლის მამაკაცი ემსხვერპლა.

მიკროავტობუსი მამაკაცს მაშინ დაეჯახა, როდესაც ის გზაზე გადადიოდა.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. მიკროავტობუსის მძღოლი დაკავებულია. (ნიუპოსტი)

## რიყე-ნარიყალას საბაგირო დღეს და ხვალ შეფერხებით იმუშავებს



რიყე-ნარიყალას საბაგირო დღეს და ხვალ შეფერხებით იმუშავებს. თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ცნობით, ტექნიკური პროცესებით გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით, 10 და 11 დეკემბერს რიყე-ნარიყალას საბაგირო მუშაობას დაიწყებს 15:00 საათზე.

კომპანია მოქალაქეებს შეფერხებისთვის ბოდიშს უხდის. (ინტერპრესნიუსი)

## ბაბუშერას აეროპორტში დაღუპული ოთხი ქართველი მებრძოლი დაკრძალეს



ბაბუშერას აეროპორტში დაღუპული ოთხი ქართველი მებრძოლი დიღმის ძმათა სასაფლაოზე სამხედრო პატივით დაკრძალეს. დაკრძალვის ცერემონიას დაესწრნენ: ქართველი მებრძოლების ოჯახის წევრები, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, შს მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე, თავდაცვის მინისტრი მინდია ჯანელიძე, ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი და მთავრობის სხვა წევრები.

ბაბუშერას ტრაგედიის დროს დაღუპულების სამოქალაქო პანაშვიდი სამების საკათედრო ტაძარში გაიმართა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი დაესწრო.

ბაბუშერას აეროპორტში აფეთქება 1993 წლის 22 სექტემბერს მოხდა.

ბაბუშერას სასაფლაოზე ძმათა სამარხის ექსჰუმაცია 2014 წლის გაზაფხულზე, არგენტინელ ექსპერტ-ანთროპოლოგის მონაწილეობით განხორციელდა. იდენტიფიცირების მიზნით ნეშტები გადმოასვენეს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. დნმ პროფილები და დაღუპულთა ოჯახების ბიოლოგიური მასალები იდენტიფიცირებისთვის ზაგრების ლაბორატორიაში იყო გადაგზავნილი. 2014 წლის 4 დეკემბერს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა დევნილთა და განსახლების სამინისტროს ოთხი ნეშტის იდენტიფიკაციის შესახებ ექსპერტიზის დასკვნა წარუდგინა. (ინტერპრესნიუსი)

## „დღევანდელი მთავრობა კარგა ხანია გარდაიცვალა“




„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ხელისუფლებაში კრიზისია და თუ მომავალი მთავრობა იქნება დასამტკიცებელი, ამას სერიოზული წინააღმდეგობები შეხვდება პარლამენტში.

„როდესაც პარლამენტის თავმჯდომარე და მისი ფრაქცია უმნიშვნელოვანეს კანონპროექტთან დაკავშირებით განსხვავებულად აძლევს ხმას და ამას როგორც დემოკრატიის ზეიმს, ისე წარმოგვიჩენს, ეს ნათლად აჩვენებს იმას, რომ ხელისუფლებაში არის კრიზისი და თუ მომავალი მთავრობა იქნება დასამტკიცებელი, ამას სერიოზული წინააღმდეგობები შეხვდება პარლამენტში. რაც შეეხება დღევანდელ მთავრობას, ის კარგა ხანია გარდაიცვალა, ხოლო იმ საკადრო გადაწყვეტილებებმა, რომლებიც ბოლო დღეების მანძილზე მოხდა, არა მგონია, რადიკალურად რაიმე შეცვალოს“, – განაცხადა ბურჯანაძემ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „გიორგი კალანდაძის სამართლებრივი კრახი ჩემთვის სასიხარულოა“



იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, გენერალ გიორგი კალანდაძესთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას გამოეხმაურა.

„გიორგი კალანდაძეს სააპელაციო სასამართლომ არ დაუკმაყოფილა ჩემს წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი. ის დაობდა იმაზე, თითქოს მე მისი ღირსება შევლახე. მე ვფიქრობ, რომ როდესაც ის დავაკავე, ღირსების დაცვით და პროცედურა, რომელიც დაკავებისას ჩავატარე დღესაც მეამაყება. ეს იყო პროცედურა, რომელიც გენერლის ღირსებას არ ლახავს. გიორგი კალანდაძემ განიცადა სამართლებრივი კრახი, რაც ჩემთვის, როგორც მხარისთვის, სასიხარულოა“, – განაცხადა წულუკიანმა.

გენერალი კალანდაძე თეა წულუკიანისგან ითხოვდა მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი განცხადებების უარყოფას და მორალური ზიანის ანაზღაურებას. (ნიუპოსტი)

# ნეტა, ყოფილა შემთხვევა, რომ ღარიბაშვილს ივანიშვილის რჩევა არ გაეთვალისწინებინა?

## ირაკლი ღარიბაშვილი: „არ დამიმალავს, რომ, როდესაც საჭიროდ ვთვლით და მნიშვნელოვან საკითხებზე გვაქვს მსჯელობა, შეიძლება დავურეკო მას და ვკითხო აზრი და რჩევა“

**ვინ არის დღეს საქართველოს რეალური ხელისუფალი, ირაკლი ღარიბაშვილი თუ ბიძინა ივანიშვილი? მოქმედი პრემიერი ყოფილი პრემიერისგან რჩევებს რომ იღებს, ეს ფაქტია. ამას არც ივანიშვილი მალავს და ეს ღარიბაშვილმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, როცა 9 დეკემბერს საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა: „როგორ წარმოგიდგენიათ, რომ ბატონი ბიძინა დეპარტამენტების დონეზე ერეოდეს მთავრობის საქმიანობაში. მე მინდა კიდევ ერთხელ განვუმარტო საზოგადოებას, რომ ბიძინა ივანიშვილი არ ერევა მთავრობის საქმიანობაში. არ დამიმალავს, რომ, როდესაც საჭიროდ ვთვლით და მნიშვნელოვან საკითხებზე გვაქვს მსჯელობა, შეიძლება დავურეკო მას და ვკითხო აზრი და რჩევა. ეს ნორმალური პროცესია და ყველა ქვეყანაში ხდება, როდესაც ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ყოფილ პრეზიდენტს ეკითხებიან აზრს“. თუმცა, საკითხავი ის არის, ივანიშვილი ღარიბაშვილს რჩევებს აძლევს თუ დეტალურ ინსტრუქციებს, როგორ უნდა მართოს ქვეყანა? რამდენად ითვალისწინებს ივანიშვილის რჩევებს ღარიბაშვილი?**

„ალიას“ ექსპერტი **გია ხუხაშვილი** ესაუბრა:

**— ბატონო გია, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, როდესაც საჭიროდ ვთვლი, შეიძლება ბიძინა ივანიშვილს აზრი დავეკითხოო. თქვენ ჩინებულად იცნობთ ორივეს, იცით სახელისუფლებო სამზარეულო და ხომ არ გაგონდებათ შემთხვევა, რომ ღარიბაშვილს ივანიშვილის რჩევა უკუეგდო?**

– ბოლო პერიოდში რა ხდება ხელისუფლებაში, არ ვიცი, მაგრამ ვიდრე ერთად ვიყავით, ამგვარი შემთხვევა მაინცდამაინც არ მაგონდება. ღარიბაშვილი ყველაფერს უჯერებდა ივანიშვილს და მის მითითებებსაც ასრულებდა. თუმცა, ხშირად ადამიანები იცვლებიან, ირაკლი პრემიერ-მინისტრია. ახლა, შესაძლოა, რაღაცას ითვალისწინებს და რაღაცას – არა. თუმცა, საზოგადოებაში დამკვიდრებული აზრი, როგორც წესი, იშვიათად არის მცდარი.

**— საზოგადოებრივი აზრია, რომ ღარიბაშვილი არც ერთ საკვანძო საკითხს არ წყვეტს ბიძინა ივანიშვილის გარეშე. ამაზე მიანიშნეთ?**

– კი, მაგას მოგახსენებთ სწორედ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ღარიბაშვილი ივანიშვილის რჩევებს ითვალისწინებს.

**— მაშინ გამოდის, ქვეყნის ფაქტობრივი მმართველი ივანიშვილია?**



– მოქმედი პრემიერი ყოფილი პრემიერისგან რომ რჩევებს იღებდეს, ასეთი რამ არამხოლოდ საქართველოში მომხდარა. თუ ეს მაღალი ინტენსივობით ხდება, ცხადია, კითხვები ჩნდება. მოდით, ასე ვთქვათ, ბიძინა ივანიშვილი არ არის ხელისუფლებაში, მაგრამ მას ქვეყნის მომავალზე პასუხისმგებლობა არ მოუხსნია. ადამიანებს მისი იმედი აქვთ, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებებიც ივანიშვილისგან მოდიოდა და არა ღარიბაშვილისგან. აქედან გამომდინარე, რომ მიატოვოს პოლიტიკური პროცესი და თქვას, რაც უნდათ, ის უქნიათო, ეს არ გამოვა. ადამიანები პრობლემებზე მას სთხოვენ ისევ პასუხს. რაც მოგახსენეთ, ეს ამას ადასტურებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ივანიშვილის გუნდი ღარიბაშვილის მეთაურობით, მის კურსს, მისი ჩარევისა და რჩევების გარეშე გააგრძელებდა. თუმცა, ეს მოსაზრებაა და კატეგორიული ვერ ვიქნები, რომ ნამდვილად ასეა.

**— გამოდის, რომ ივანიშვილი საზოგადოების დაკვეთას ასრულებს, თუ პრემიერს ეხმარება.**

– კი, ასე გამოდის.

**— ირაკლი ღარიბაშვილი ბიძინა ივანიშვილი ყველა რჩევას, სავარაუდოდ, ითვალისწინებს და ამის გამყარება ლოგიკითაც შეიძლება. გიორგი მარგველაშვილი გავიხსენოთ, რომელმაც არ გაითვალისწინა ივანიშვილის ის რჩევა, თუნდაც ავლაბრის რეზიდენციაში არ გადახვიდეო და შედეგი სახეზეა, ივანიშვილმა გარიყა მარგველაშვილი და ერთმანეთს არც კი ელაპარაკებიან.**

– გიორგი მარგველაშვილი არა მხოლოდ ივანიშვილმა გარიყა, ღარიბაშვილმაც გარიყა და პარლამენტმაც. გეთანხმებით, ღარიბაშვილი ივანიშვილის რჩევებს ითვალისწინებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმგვარივე ღია დაპირისპირებას მივიღებდით, როგორიც მარგველაშვილის შემთხვევაში იყო და ეს არ დაიმალებოდა, ლოგიკურად ეგრე გამოდის.

**— ბატონო გია, ლარის კურსის ვარდნასთან დაკავშირებითაც გკითხავთ. პრემიერმა განაცხადა, რომ ეს პროცესი დიდწილად განპირობებული იყო პოლიტიკური ოპონენტებისა და ექსპერტთა ნაწილის განცხადებებით, რამაც ხალხში აჟიოტაჟი გამოიწვია და ხელოვნურად დაეცა ლარის კურსიო. ეთანხმებით პრემიერის ამ მოსაზრებას?**

– კი, „ნაციონალები“ მუდამ აპოკალიპსურ სურათებს ხატავენ, მაგრამ მათი ხალხს აღარ სჯერა. მეორეც, ყველაფრის პოლიტიკური ოპონენტებისთვის, ყველაფრის მტრისთვის გადაბრალება, „ნაცმოძრაობის“ სტილია და არ უნდა სჭირდებოდეს პრემიერს მსგავსი სტილით ლაპარაკი, მტერზე გადაბრალებით ყველაფერს ვერ ჩამონწერ. ექსპერტებს კი იმ დღეებში ყურადღებით ვუსმენდი და არავის არ უცდია სიტუაციის ხელოვნურად დაძაბა და აჟიოტაჟის ატეხა. პირიქით, ექსპერტები ხალხს აშოშმინებდნენ და ცდილობდნენ, ლარის კურსის ვარდნის ობიექტური მიზეზები აეხსნათ.

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ქვეყანაში 924 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია შემოვიდა



„საქსტატის“ წინასწარი მონაცემებით, 2014 წლის მესამე კვარტალში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 508 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 2013 წლის III კვარტალის მაჩვენებელს 99%-ით აჭარბებს და ბოლო 4 წლის განმავლობაში (15 კვარტალის თვალსაზრისით) ყველაზე მაღალ მაჩვენებელზეა.

ინვესტორ ქვეყნებს შორის, პირველ ადგილზეა ჩინეთია 29%-იანი წილით, სექტორებს შორის კი ყველაზე დიდი კაპიტალი, სამშენებლო სექტორში განხორციელდა და მისი წილი 26%-ს შეადგენს.

წინასწარი სტატისტიკური გათვლებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა 703 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ინვესტორების მიმართ ვალდებულებების შემცირება კი 196 მლნ აშშ დოლარია.

სულ 2014 წლის სამი კვარტალის განმავლობაში ქვეყანაში 924 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია შემოვიდა, 2013 წლის ანალოგიურ პერიოდში 715 მლნ აშშ დოლარი, შესაბამისად, ერთი წლის განმავლობაში უცხოური კაპიტალის მაჩვენებელი 29%-ით გაიზარდა. (ნიუპოსტი)

# რა ხდებოდა მატარებელში, რომლითაც ივანიშვილმა ურეკიდან იმგზავრა?



6 დეკემბერს ბიძინა ივანიშვილმა ურეკიდან თბილისამდე მატარებლით იმგზავრა. ამან საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია და უამრავი ჭორიც გავრცელდა. ერთნი ამბობენ, რომ ბატონ ბიძინას რკინიგზის მუშაობა აინტერესებდა, ყველაფერი გაიგო და სადაცაა კოკა გუნცაძის თავი გაგორდებაო. მეორენი ამტკიცებენ, ბატონმა ბიძინამ საარჩევნო კამპანია დაიწყო, ხალხის აზრი აინტერესებსო. მესამენი ირწმუნებოდნენ, მატარებელმა თბილისამდე შეუჩერებლად იარაო. ერთი სიტყვით, ბევრი რამ ითქვა, მაგრამ ერთი არავის წამოსცდენია, კაცს შაბათ დღეს მატარებლით გასეირნება მოუნდა და გაისეირნა, ვისი რა იმისი საქმეაო? უამრავმა ჭორმა კი ერთი ისეთი ადამიანი ალაშფოთა, რომელსაც ამ თემაზე ლაპარაკი საერთოდ არ უნდოდა, მაგრამ უნებლიეთ მაინც „გასცა“ საკუთარი თავი. ეს გახლავთ პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე: „ხალხო, ზღაპრებსაც აქვს საზღვარი, მეც ვიჯექი იმ მატარებელში და რომელი მატარებლითაც ივანიშვილი მგზავრობდა, ყველა გაჩერებაზე ჩერდებოდა ჩვეულებრივ“...

**ხათუნა ლაგაზიძის** თქმით, ეს არ ყოფილა პირველი შემთხვევა, როცა ბიძინა ივანიშვილი მატარებლით მგზავრობს, მთელი ზაფხული ასე მიდიოდა და მოდიოდა, უბრალოდ, ახლა იმიტომ „გასკდა“ ეს ამბავი, რომ ვიღაცამ ფარულად ფოტოებიც გადაიღო ვაგონში და თან ჟურნალისტებს გადაურეკაო.

**— ხათუნა, ერთი რამე მაინტერესებს, ბიძინა ივანიშვილს მგზავრებთან კონტაქტი ჰქონდა?**

– მე ნამდვილად არ აღვწერ, რა ხდებოდა ვაგონში, არ მინდა, ბიძინა ივანიშვილზე ვიჭორაო, მაგრამ მგზავრებისთვის ეს ყველაფერი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ხმის ამოღება არავის უცდია.

**— ესე იგი, არც ივანიშვილს უკითხავს ადამიანებისთვის არაფერი?**

– კარგი, რა, გელა, გითხარი, ვერ ვიჭორავებ-მეთქი.

**— კი, მაგრამ ამ გაჭირვებულ ხალხს ასეთი მომენტი ჩაუვარდა ხელში და ვერავინ გამოიყენა? ამდგარიყვნენ და პირდაპირ ეთქვათ: ბატონო ბიძინა, ამას და ამას რომ დაგვპირდი, რატომ არ გვისრულებო?**

– აბა, რა გითხრა? ხალხი ლამის შოკში ჩავარდა, დაიბნა და როგორც ჩანს, პრეტენზიების თქმა ვერავინ გაბედა.

**— აი, ასეთი ხალხი ვართ, ტელევიზორში ბრტყელ-ბრტყელს ვლაპარაკობთ, პირადად კიდევ ვერაფერს ვუბედავთ.**

– არ შეიძლება ამდენი ჭორის გავრცელება, უბრალოდ, სირცხვილია. კაცი ჩაჯდა მატარებელში და იმგზავრა მეუღლესთან ერთად ჩვეულებრივად, ხომ აქვს უფლება?

**— შენ ხომ გიცნობს, დაგელაპარაკა?**

– მიცნობს, მაგრამ ისეთი არაფერი მომხდარა, რომ სალაპარაკოდ ღირდეს.

**— მადლობა, ის მაინც გამაგებინე, რომ ხალხთან კონტაქტი არ ჰქონია. სიმართლე გითხრა, გული დამწყდა.**

**ჩვენი საუბარი აქ დამთავრდა. ქალბატონი ხათუნა კი ამბობს, ისეთი არაფერი მომხდარაო, მაგრამ, ჩემი აზრით, მაინც მოხდა და ორი რამეც გაირკვა: პირველი — ეს მგზავრობა პირველი არ ყოფილა; მეორე — ხალხმა მას ვერაფერი გაუბედა და არც თვითონ შესულა კონტაქტში. სამწუხაროა...**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

# რისთვის შეხვდა და რაზე ელაპარაკა ლუკა კურტანიძე ივანიშვილსა და ღარიბაშვილს?




**ვინ იდგა ლუკა კურტანიძის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტობიდან გადაყენების სპეცოპერაციის უკან? ვინ მართავდა იმ მოჭიდავეებს, ვისაც 9 წლის მანძილზე ხმაც კი არ ამოუღიათ დამანგრეველი რეჟიმის წინააღმდეგ? დღეს ისინი ჭიდაობის ფედერაციას ოჯახს ეძახიან, მაგრამ, როცა ლუკა კურტანიძე სააკაშვილის რეჟიმმა წიხლქვეშ გაიგდო, მსოფლიო ჩემპიონის დასაცავად არც ერთ მათგანს ერთი განცხადებაც არ გაუკეთებია.**

**ამ ყველაფრის შემდეგ, დავინტერესდი ერთი მნიშვნელოვანი დეტალით, ნოემბრის ბოლოს ლუკა კურტანიძე ირაკლი ღარიბაშვილთან და ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე იყო მისული. მთავარი აქ ის არის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი, გენინსპექციის უკვე ყოფილი უფროსი ირაკლი სამყურაშვილი ხელმძღვანელობდა ლუკა კურტანიძის წინააღმდეგ სპეცოპერაციას და სამყურაშვილი წარმოადგენდა „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, ლადო ვარძელაშვილის მარჯვენა ხელს, მისი ბეგრაუნდის შესახებ ბევრი რამ ივანიშვილისთვის ცნობილი არ იყო. ივანიშვილთან საქმის გარჩევის შემდეგ, ჯანყარაშვილის გადადგომას ირაკლი სამყურაშვილის გადადგომაც მოჰყვა.**

**მიაწოდა თუ არა ლუკა კურტანიძემ ბიძინა ივანიშვილს „ნაციონალი“ სამყურაშვილის „ვაჟკაცობების“ შესახებ ინფორმაცია? „ალია“ ამ თემაზე ლუკა კურტანიძეს დაუკავშირდა:**

**— გადადგომამდე ერთი დღით ადრე თქვენ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე ბრძანდებოდით. ჩემთვის ცნობილია, რომ გენინსპექციის ყოფილი უფროსი ირაკლი სამყურაშვილი თქვენს წინააღმდეგ ობსტრუქციას ახორციელებდა, გიჯანყებდათ მოწინააღმდეგეებს და თითიც კი არ გაუნძრევია პოლიციას თქვენს დასაცავად. ბოლოს და ბოლოს, თქვენ ხომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი ბრძანდებით. ადასტურებთ ინფორმაციას, ივანიშვილი საქმის კურსში ჩააყენეთ, რომ სამყურაშვილი გებრძოდათ?**

– ნინო, არავისთვის საიდუმლო არაა, რომ ბატონი ბიძინა და ბატონი ირაკლი ჩამთვის უძვირფასესი ადამიანები არიან და თუ აქამდე ვითმენდი, ვითმენდი მათ გამო. დიახ, ბიძინა ივანიშვილს ავუხსენი შექმნილი მდგომარეობა და ვუთხარი, რომ ამ ეტაპზე საჭირო იყო, ჭიდაობის ფედერაციიდან წავსულიყავი. ის წინააღმდეგი არ წასულა და მითხრა, რომ ჩემს გადაწყვეტილებას პატივს სცემდა. ის კამპანია, რომელიც ჩემს წინააღმდეგ დაიწყო, აუცილებლად ღია და საჯარო გახდება ხალხისთვის, კონკრეტულად ვინ რატომ მებრძოდა და ვინ იდგა ამის უკან. უდიდესი პასუხისმგებლობა მაქვს და როცა ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელად ამირჩიეს, მთელი ჩემი გული და სული ჩავდე ამ საქმეში.

ვიმუშავეთ მსოფლიო ფედერაციასთან და 2016 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლება მოვიპოვეთ, ძველი მწვრთნელები ახალი მწვრთნელებით ჩავანაცვლე, რომლებიც ტიტულებით იყვნენ მსოფლიო ჩემპიონები, ისევ იმ სფეროში ჩავაბი, რომლის პროფესიონალებიც არიან. ადამიანებმა, ვინც ვერ შეასრულა დაკისრებული ვალდებულება, მათ მიმართ, ბუნებრივია, პრეტენზიები იყო. განაწყენებული ადამიანების უკან კი დადგა რევანშისტული ძალა და დაიწყო ჩემს წინააღმდეგ ბრძოლა.

**— ადასტურებთ თუ არა ინფორმაციას, რომ თქვენს წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზატორი იყო გენინსპექციის ყოფილი უფროსი, ირაკლი სამყურაშვილი.**

– ვერც უარვყოფ და ვერც ვადასტურებთ ამათუ იმ კონკრეტული ადამიანის ჩართულობას. 22 სექტემბერს, როცა კვერცხები მესროლეს, კარი ამიჭედეს და პირდაპირ დამამცირებელი ტალღა ააგორეს ჩემი მისამართით, ცხადია, ეს მართული იყო. მიპასუხონ, რა ვერ გავაკეთე? პირველად საქართველოს ისტორიაში, ქვეყანამ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლება, ჩამოვა 70 ქვეყანაზე მეტი, ყველა პირობა შევუქმენი სპორტსმენებს, რომ საუკეთესო მდგომარეობაში ყოფილიყვნენ. რა თქმა უნდა, არ ვამბობ, შეცდომები არ მქონდა, მაგრამ 20 წლის განმავლობაში რაც არ გაკეთებულა, ის შევძელი ორი წლის განმავლობაში, მაგრამ მე კითხვები მაქვს, რატომ დადგა ლუკა კურტანიძის დამამცირებელი გზით ჩამოცილების საკითხი?.. ვინ შეუწყო ამას ხელი? რატომ არ იმოქმედა პოლიციამ, როდესაც მე, ლუკა კურტანიძეს, პოლიციის მაღალჩინოსანს შეურაცხყოფას მაყენებდნენ? ხომ ფაქტია, რომ ცალსახად ხულიგნურ საქციელს ჰქონდა ადგილი? ამ კითხვებზე პასუხი არ მაქვს და გაძლევთ პირობას, რომ საკადრის პასუხს გავცემ, ვამხელ და ექსკლუზივს აუცილებლად თქვენ მოგცემთ და თქვენი დახმარებით ვამცნობ საზოგადოებას.

თქვენ კარგად იცით, რომ მე გამოვიარე ძალიან დიდი განსაცდელი, პოლიციელები, ვინც ჩემს წინააღმდეგ სისასტიკე ჩაიდინა, ბევრი მათგანი პატიებისთვის ჩემთან მოვიდა, მაგრამ დარჩა რაღაც ნაწილი, რომლებსაც მიეცათ შანსი, სხვადასხვა ადგილებზე გადანაცვლებულიყვნენ. მათ კი, როგორც კი შესაძლებლობა მიეცათ, მართული გახადეს სიტუაცია. ახალი ხელმძღვანელის დახმარება მინდოდა დაწყებული საქმეების ბოლომდე მისაყვანად, მაგრამ ამ ემოციას აყოლილმა ხალხმა გააკეთა ის, რომ სახელდახელო პრეზიდიუმი მოიწვიეს და გადამაყენეს. ამით მათ ჰქონდათ ჩემი დამცირების მცდელობა, მაგრამ გეუბნებით, ბუმერანგივით შემოუბრუნდებათ.

**— ბატონო ლუკა, თქვენ ბრძანდებით შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირი, არ გიჩნდებათ ეჭვი, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ჩანერგილი პოლიციელები ცდილობდნენ თქვენს ბოლომდე განადგურებას? მე გისახელებთ კონკრეტულ პირს, გენინსპექციის ყოფილ უფროსს ირაკლი სამყურაშვილს, რომელზეც თქვენ კონკრეტულად არ მპასუხობთ. იყო თუ არა ის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის გადაყენების სპეცოპერაციის ხელმძღვანელი.**

– მტკიცებულების გარეშე მე ამ კითხვაზე კონკრეტულად ვერ გიპასუხებთ, თუმცა მეც გამიგია ამის შესახებ და საქმის კურსში ვარ. კერძოდ, იმის შესახებ, რომ ბატონი სამყურაშვილი იყო ლადო ვარძელაშვილის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე. მე ვიცი მისი ე.წ. ბეგრაუნდები, მაგალითად, სად იყო 2012 წლის აგვისტოში, ის იმყოფებოდა სამტრედიაში, ნამგალაურთან, ლადო ვარძელაშვილთან ერთად, გაჩერებულები იყვნენ სასტუმრო „ცისკარში“, სადაც იმყოფებოდა მათ მიერ ჩაყვანილი უამრავი სპორტსმენი. სამყურაშვილი კურირებდა სპორტსმენების ჩაყვანას, ალბათ, ყველას კარგად მოგეხსენებათ 2012 წლის აგვისტოში რა უნდოდათ სამყურაშვილს, ვარძელაშვილს, ნამგალაურს, ისინი მობილიზებული იყვნენ არჩევნების წინ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ. რასაც თქვენ ამბობთ და მეც მსმენია, რომ სამყურაშვილი ხელმძღვანელობდა ჩემს წინააღმდეგ აქციებს, თუ ეს სიმართლეა, ძალიან შემცდარა, სამყურაშვილს მიეცა საშუალება, რომ შეცდომების მიუხედავად, განეგრძო მუშაობა ახალ ხელისუფლებაში და გამოესწორებინა დაშვებული შეცდომები. ალბათ, ამიტომაც დაუბრუნდა ბუმერანგივით მისი მოქმედებები, ხომ იცით, ცეცხლი უკვალოდ არ ჩნდება, რადგან ითქვა, რომ ამ ადამიანს რაღაც წვლილი მიუძღვის ლუკა კურტანიძის დამცირებაში, ადამიანმა, რომელმაც უამრავი ტრაგედია გამოვიარე, ომი, „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის მხრიდან დამცირება და თუ საჭირო იყო, ლუკა კურტანიძის ჩამოცილება და მე პრობლემას წარმოვადგენდი, რა საჭირო იყო ამდენი დამცირება, ერთი სიტყვაც კი საკმარისი იქნებოდა, ადამიანურად რომ დამლაპარაკებოდნენ და ეს უფლებამოსილება უფრო ლამაზად გადაეცათ. არ იყო საჭირო ამდენი დამცირება, დაპირებისამებრ, მე თქვენ მოგცემთ ინტერვიუს, სადაც კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით მოგაწვდით ინფორმაციებს.

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22


## „გორგიაში“ აქცია „გამათბობელი ყველაზე დაბალ ფასად“ გრძელდება!

**მერი ურუშაძე ხუთი წლის განმავლობაში დენის გამათბობლით სარგებლობდა. ყოველი თვის ბოლოს მას ელექტროენერგიის დიდი გადასახადი მოსდიოდა და სახლიც სათანადოდ არ თბებოდა. მეზობელმა მას გაზის გამათბობელი ურჩია. მერი გაზის გამათბობლებს ერიდებოდა, რადგანაც გაზით მოწამვლის შემთხვევები ხშირი იყო. მან ცენტრალური გათბობის შეძენა გადაწყვიტა და ფასების მოძიებას შეუდგა. თან ცენტრალური გათბობის უპირატესობა ის იყო, რომ ერთი შეძენილი ქვაბით, მას სახლში ცხელი წყალიც ექნებოდა.**

„გორგიას“ შესახებ ქალბატონმა მერიმ ტელევიზორით შეიტყო და გადაწყვიტა, ჰიპერმარკეტში მისულიყო და გამათბობლების არჩევანი ადგილზე ენახა.

„ძალიან მომეწონა ის ფაქტი, რომ ადგილზე მისულ მე და ჩემს მეუღლეს არ მოგვიწია ავტომობილის გაჩერებაზე ფიქრი და ავტომობილის პარკირება უფასო იყო. სხვა შემთხვევაში მინიმუმ 2 ლარის გადახდა გვიწევდა ხოლმე მხოლოდ პარკირებაში“, – ამბობს ქალბატონი მერი.




მას „გორგიაში“ გამათბობლების დიდი არჩევანი დახვდა და კონსულტანტის დახმარებით სასურველი გამათბობელიც შეარჩია.

„აქ გამათბობლები ბევრად იაფია, ვიდრე სხვაგან. სასიამოვნო იყო ის ფაქტიც, რომ „გორგიადან“ ჩემთან სახლში ხელოსნები მოვიდნენ, დათვალეს ფართის კვადრატულობა, რომ შემდეგ დაედგინათ, როგორი გამათბობელი დასჭირდებოდა ჩემს სახლს. გამათბობლის შერჩევის შემდეგ გათბობის სისტემა იმავე ხელოსნებმა დამიმონტაჟეს. აღსანიშნავია, რომ თანხა სრულად არ მქონდა და გავაკეთე 0%იანი განვადება, რამაც საშუალება მომცა, გადახდა 3 თვის შემდეგ, ანუ, ფაქტობრივად, მომავალი წლიდან დამეწყო“.

ქალბატონმა მერიმ ეკო გამათბობელი შეიძინა, სწორედ ამიტომ მას ნივთის ღირებულების 10% უკან დაუბრუნეს, თვის ბოლოს კი ბევრად ნაკლები გადასახადის გადახდა მოუწია.

ჰიპერმარკეტი „გორგია“ დიდუბის მეტროს მოპირდაპირე მხარეს, წერეთლის №140-ში მდებარეობს. ჰიპერმარკეტი ორ სართულზეა განთავსებული და მომხმარებელს 25 000-მდე დასახელების პროდუქტს სთავაზობს საქართველოში ყველაზე ხელმისაწვდომ ფასად. ყველა მომხმარებლისთვის ჰიპერმარკეტის ეზოში პარკირება უფასოა. მომხმარებელს სპეციალურად გადამზადებული 400-მდე კონსულტანტი ეხმარება. ჰიპერმარკეტში ყოველთვის მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის ფასდაკლებები და აქციები.

**ჰიპერმარკეტში პროდუქტის შეძენა 0%-იანი განვადებითაც არის შესაძლებელი.**

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რა უზუსტობები აღმოაჩინა ზურაბ კიწმარიშვილმა თავისი ძმის საქმეში?

**ეროსი კიწმარიშვილის საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების საქმის დეტალებზე საუბრისგან მისი ძმა ზურაბ კიწმარიშვილი თავს იკავებდა, პროკურატურასთან შეთანხმებული ვართ, სანამ განცხადებას არ გაავრცელებენ, მანამდე ვერაფერს ვიტყვიო და დღე-დღეზე, განცხადების მოლოდინში იყო. თუმცა მთავარი პროკურორის მოადგილემ, ირაკლი შოთაძამ განმარტა, რომ კიწმარიშვილის ოჯახთან კონსულტაციების გარეშე, მასალები არ გასაჯაროვდება. პროკურატურასა და ეროსი კიწმარიშვილის ოჯახს აქტიური კომუნიკაცია აქვთ ერთმანეთთან და უნდა ვივარაუდოთ, რომ მალე ამ საიდუმლო მკვლელობის დეტალებს ნათელი მოეფინება.**

**რა ხდება ამ საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით ახალი და მნიშვნელოვანი? რა ხარვეზები აღმოაჩინეს კიწმარიშვილის ოჯახმა და ადვოკატმა იმ მასალებში, რომელთა გაცნობის უფლებაც მათ პროკურატურამ მისცა? შეცვალა თუ არა ამ მასალებმა ოჯახის პირვანდელი პოზიცია, რომ კიწმარიშვილი მოკლულია?**

**„ალიას“ ამ და სხვა საკითხებზე ზურაბ კიწმარიშვილი ესაუბრა:**

**— ზურა, მთავარი პროკურორის მოადგილე აცხადებს, ეროსი კიწმარიშვილის ოჯახთან კონსულტაციების გარეშე არ გავასაჯაროებთ მომხდარი დანაშაულის მასალებსო. თქვენი მხრიდან რაიმე შეფერხება ხომ არ იქნება მასალების გასაჯაროების საქმეში?**

– არა, ჩვენ ვერაფერს შევაფერხებთ. პროკურატურამ ნება დაგვრთო და საქმის მასალები გაგვაცნო. შევთანხმდით, რომ, თუ რაიმე კრიტიკული შენიშვნა, მოსაზრება და არგუმენტი გვექნებოდა გამოძიებასთან, გამომძიებლებს შევხვდებოდით, ამ ყველაფერს შევაჯერებდით. ასევე, ვიდრე პროკურატურა არ გააკეთებდა ოფიციალურ განცხადებას, ეროსის მკვლელობასთან დაკავშირებით, ჩვენ თავს შევიკავებდით იმ უზუსტობისა თუ გამოძიების მიერ დაშვებული ხარვეზების გახმაურებისგან, რაც საქმის მასალების გაცნობის შემდეგ გახდა ჩვენთვის ცნობილი.



**— მაინც, რა უზუსტობა და რა საგამოძიებო ხარვეზები აღმოაჩინეთ?**

– შეთანხმებისამებრ, დეტალებს ვერ გავახმაურებ, თუმცა, გარკვეული პრეტენზიები გვაქვს საექსპერტო დასკვნებთან დაკავშირებით. რამდენიმე დასკვნა უფრო გასაგებად რომ იყოს ჩამოყალიბებული, კარგი იქნებოდა. საკმაოდ ბუნდოვნად, ზოგიერთ შემთხვევაში ორაზროვნად არის ჩამოყალიბებული ეს დასკვნები. ამაზე, როცა პროკურატურა განცხადებას გააკეთებს, მერე ვისაუბრებ.

**— შესაძლოა, ამ ბუნდოვანი დასკვნების მიღმა, რაღაც საიდუმლო იმალება და ამიტომ არის ეს დასკვნები ასე დაწერილი?**

– ჯერ არ მინდა ამაზე ლაპარაკი. დაველოდოთ პროკურატურის განცხადებას და ყველა საექსპერტო დასკვნაზე შესაბამის კომენტარს, ჩვენი ექსპერტები და ადვოკატი გააკეთებენ.

**— თუ დასკვნაში არის გაუგებრობები, ეს თავისთავად ეჭვს აჩენს ამ დასკვნის სანდოობის შესახებ.**

– ეს თავისთავად ასეა, მაგრამ მეტს ჯერ ვერ ვიტყვი. მთლიანობაში, გამოძიებას ნამდვილად ვერ ვუსაყვედურებ, რაც შეეძლოთ, ყველაფერი გააკეთეს, თუმცა, სხვა ხარვეზებიც არის, მაგრამ ჯერ ვერ ვიტყვი დეტალებს.

**— თქვენი ინფორმაციით, გამოძიება რა ეტაპზეა ახლა?**

– რასაც მე ვუყურებ და ვაკვირდები, რაც მე მაქვს ინფორმაცია, ამ დროისთვის ინტენსიური გამოძიება, ფაქტობრივად, აღარ მიმდინარეობს. ჩემი ვარაუდით, ეს პროცესი დაასრულა გამოძიებამ. არ ვიცი, შესაძლოა რაღაც საგამოძიებო მოქმედებებს აწარმოებენ, მაგრამ ამის შესახებ არაფერი ვიცი.

**— თქვენი აზრით, პროკურატურა ამ საქმეს გახსნილად გამოაცხადებს და იტყვის კონკრეტულად, რომ ეროსი კიწმარიშვილი მოკლეს ან, თავი მოიკლა?**

– რაც ინფორმაცია მაქვს, რაც საქმის მასალებიდან შთაბეჭდილება დამრჩა, სავარაუდოდ, პროკურატურა ამ საქმეს ჯერ გახსნილად არ გამოაცხადებს. უფრო ვვარაუდობ, რომ პროკურატურა მასალებს გაასაჯაროებს და შესაძლოა, მხოლოდ მინიშნება გააკეთოს, მკვლელობა იყო თუ თვითმკვლელობა.

**— ანუ, უკეთეს შემთხვევაში პროკურატურა იტყვის, რომ გამოძიების პირველი ეტაპი დაასრულა და საქმეს გახსნილად არ გამოაცხადებს?**



– კი, მეც ასე ვფიქრობ, ოღონდ დავაზუსტებ – სავარაუდოდ, გამოძიებამ გარკვეული ეტაპი გაიარა, აქვს რაღაც მოსაზრებები და არგუმენტები და აი, ამას გაახმაურებს.

**— გამორიცხავთ, პროკურატურამ განაცხადოს, რომ გამოძიება ჩიხში შევიდა?**

– არა, მე არაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ უფრო იმას ვვარაუდობ, რაც მოგახსენეთ. მე მასალებს კი გავეცანი, მაგრამ პროკურატურის დასკვნა არ მინახავს.

**— რასაც გაეცანით, იმ მასალებმა, თქვენი რწმენა, რომ ეროსი მოკლულია, უფრო გაამყარა თუ პირიქით, საფუძველი შეურყია?**

– მიჭირს ამაზე ლაპარაკი. საქმის მასალებში ვეძებდი ზუსტად ამგვარ ფაქტებს, ერთი ან მეორე მიმართულებით. ფაქტობრივად, არც ერთი მიმართულების ცალსახად დამადასტურებელი მასალა და მტკიცებულება არ მინახავს. აქედან გამომდინარე, არაფერი შეცვლილა ჩემში, მე ისევ ძველ ვერსიაზე ვრჩები.

**— დავუშვათ და პროკურატურამ განაცხადა, რომ ეროსიმ თავი მოიკლა. დაეთანხმებით ამას?**

– ამ შემთხვევაში, მოვთხოვ პროკურატურას, რომ ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს. რაც მე საქმის მასალებში ვნახე, იქ არაფერი ისეთი, რომელიც ცალსახად თვითმკვლელობის ვერსიას ამყარებდეს, არ მინახავს. ამას ვაცხადებ ჩვენი ადვოკატისა და ექსპერტების კონსულტაციების შემდეგ. ეს მასალები ხომ მათაც ნახეს და მათაც იგივე პოზიცია აქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით.

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...




## პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანდიდატებს მხარი არ დაუჭირეს

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ერთ ვაკანტურ ადგილზე პრეზიდენტის მიერ წარდგენილმა კანდიდატებმა იურიდიულ საკითხთა კომიტეტისგან დადებითი რეკომენდაცია ვერ მიიღეს. პრეზიდენტმა პარლამენტს ცესკოში ზურაბ ხრიკაძისა და ლევან ტურაშვილის კანდიდატურები შესთავაზა.

აღნიშნული პირები ცესკოს ვაკანტურ ადგილზე პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან დაკომპლექტებულმა საკონკურსო კომისიამ შეარჩია. მათ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე მოუსმინეს. ხრიკაძეს სამმა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, სამმა კი მის წინააღმდეგ მისცა ხმა. რაც შეეხება ტურაშვილის კანდიდატურას, მისი მომხრე იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 4 წევრი იყო, მოწინააღმდეგე – 2.

მხარდაჭერის მისაღებად კი მათ, სულ მცირე, ხუთი ხმა სჭირდებოდათ. კომიტეტის ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, კანდიდატები პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მხარდაჭერის მისაღებად მაინც წარედგინება.

პრეზიდენტმა ცესკოში არსებულ კიდევ 3 ვაკანსიაზე გამოაცხადა ღია კონკურსი. (ინტერპრესნიუსი)

## უკრაინა უარს აცხადებს რუსულ და საბჭოთა სტანდარტებზე



უკრაინის პრემიერ-მინისტრმა მოქმედი მთავრობის მთავარ მიზნად ევროკავშირში გაწევრიანება დაასახელა.

„ჩვენი საბოლოო მიზანია უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანება. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად უნდა გავიაროთ სერიოზული გამოცდა, უნდა გავატაროთ რადიკალური ცვლილებები, უნდა შევცვალოთ უკრაინა, უნდა გავხადოთ ის ევროპული.

ჩვენ ოფიციალურად ვაცხადებთ, რომ უკრაინა უარს აცხადებს რუსულ და საბჭოთა სტანდარტებზე. უკრაინა-ევროკავშირის შეთანხმების თანახმად, დაინერგება 15 ათასი ახალი სტანდარტი, ამას დაჭირდება საკმაოდ დიდი ხანი, რის გამოც ჩვენ ამისთვის ვადა დავიდგინეთ 2016 წლამდე, ეს ოპტიმისტური ვადაა“. – განაცხადა იაცენიუკმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## დაუბეგრავი მინიმუმი აღარ გაიცემა




2016 წლიდან დაუბეგრავი მინიმუმი აღარ გაიცემა. საგადასახადო კოდექსში შესატან ცვლილებებს პარლამენტი დაჩქარებული წესით განიხილავს. დაუბეგრავი მინიმუმის გაუქმებასთან დაკავშირებით მთავრობის არგუმენტები კომიტეტის თავმჯდომარისთვის დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა.

„ბოლომდე ვერ დავინახე, რა არის ამის მოტივაცია და ის, თუ რა უკეთეს ხარჯს გასწევს გამოთავისუფლებული ფული“, – განაცხადა დავით ონოფრიშვილმა.

როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძე განმარტავს, გამოთავისუფლებული თანხები სოციალურ პროგრამებს მოხმარდება. თუმცა რა პროგრამებზეა საუბარი, მას არ დაუკონკრეტებია. რაც შეეხება 2014 წლის გადახდილი გადასახადების დაბრუნებას, კაკაურიძის თქმით, მოქალაქეები ამ თანხებს ჩვეულებრივ დაიბრუნებენ.

საგადასახადო კოდექსში დაუბეგრავი მინიმუმის ცნება ფინანსთა სამინისტრომ 2013 წელს შემოიტანა, რომლიც თანახმადაც, იმ მოქალაქეებს, რომელთა წლიური დარიცხული შემოსავალი 6000 ლარს არ აღემატებოდა, დაუბეგრავი მინიმუმის სახით 360 ლარი უკან უბრუნდებოდათ. (ნიუპოსტი)

**GOEuro-ს წლის კვლევის მიხედვით, საქართველო მატარებლით მგზავრობის სიიაფის რეიტინგით მსოფლიოში მეორე ადგილზეა. საქართველოს მხოლოდ სამხრეთ აფრიკა უსწრებს.**

**GOEuro არის სამოგზაურო სივრცეში მულტიფუნქციური კვლევის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია. ის ადარებს და თვლის მატარებლით, ავტობუსითა და თვითმფრინავით მგზავრობის ღირებულებას.**

**აღნიშნული კვლევა GOEuro-მ 2014 წლის აგვისტოში გამოაქვეყნა.**






ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სანზონაში 16-სართულიანი კორპუსიდან მამაკაცი გადმოხტა



სანზონაში, მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე 16-სართულიანი კორპუსიდან ახალგაზრდა მამაკაცი გადმოხტა და ადგილზე გარდაიცვალა. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

## „ეს დღე ჩემთვის განსაკუთრებით ემოციურია, რადგან ამ თვითმფრინავის ჩამოგდებას ვუყურებდი“



„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია აფხაზეთიდან ცხედრების გადმოსვენების ფაქტს ეხმაურება და აცხადებს:

„ეს ემოციური ფონი ჩემთვის განსაკუთრებით მგრძნობიარეა, რადგან ამ თვითმფრინავის ჩამოგდებას სოხუმში პირადად ვუყურებდი. მე, როგორც ათასობით ქართველს, ჯერ კიდევ ჩამოსაყვანი მყავს ოჯახის წევრი. იმედია, ორ მხარეს შორის არსებული ურთიერთობები ისე აიგება, რომ ყველა ჭირისუფალი საკუთარ ცხედარს დაიბრუნებს. მგონი, 22 წლის შემდეგ ვხვდებით, რომ ჩვენ ცხოვრება აფხაზებთან და ოსებთან სხვანაირად უნდა ავაგოთ. ის სისხლისღვრა აღარ უნდა გავიმეოროთ, რომელიც ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის მოხდა“, – განაცხადა ალასანიამ. (ნიუპოსტი)

## „ქრონიკაში“ გასული სტატიის გამო რესპონდენტს 50 000 ლარს სთხოვენ

**გაზეთ „კვირის ქრონიკაში“ „ანტიკორუფციული კავშირის“ ხელმძღვანელმა გიორგი ბურჯანაძემ გაასაჯაროვა კომპოზიტორთა კავშირის შენობაში არსებულ სტრიპტიზ ბარში პატარა გოგონების პროსტიტუციის ფაქტი, რასაც კომპოზიტორთა კავშირიდან პროტესტი მოჰყვა და ბურჯანაძეს სასამართლოში უჩივლეს.**

**რა ახალი გარემოებები გამოიკვეთა საქმეში? რა ზარალის ანაზღაურებას ითხოვს კომპოზიტორთა კავშირი და რა კოზირი უჭირავს ბურჯანაძეს.**

**„ალიას“ ესაუბრება „ანტიკორუფციული კავშირის“ ხელმძღვანელი გიორგი ბურჯანაძე:**

– კახა ცაბაძე, კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე მიჩივის, ვითომ ცილისმწამებლური განცხადება გავაკეთე რამდენიმე თვის წინ, როცა განვაცხადე, რომ კომპოზიტორთა კავშირის მიერ გაქირავებულ ფართში, შენობის პირველ სართულზე, ადგილი ჰქონდა არასრულწლოვნების პროსტიტუციის ფაქტს. ცაბაძემ მიმართა საქალაქო სასამართლოს და ჩვენს წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი. ორი დღის წინ სასამართლო პროცესი გადაიდო იმის გამო, რომ კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარემ ჩემს საწინააღმდეგოდ ახალი გარემოებები აღმოაჩინა. კომპოზიტორთა კავშირის მიერ გაქირავებულ ფართზე „მოღვაწე“ ერაყელ ინდმეწარმეზე მივმართეთ საელჩოს, ამის შემდეგ ის გააძევეს საქართველოდან. კახა ცაბაძესა და კომპოზიტორთა კავშირს, მათი განცხადებით, თურმე მიადგა 100 000-იანი ზარალი, ვალუტა ჯერ არ დამიზუსტებია. ახალ სარჩელში მათ მითითებული აქვთ, რომ ამ ფულის კომპენსაციას პირადად ჩემგან ითხოვენ. ინფორმაცია იყო აბსოლუტურად ღია და საჯარო, თუ რა ხდებოდა იმ დაწესებულებაში. იქ კი ხდებოდა ბავშვთა პროსტიტუცია. როცა ამ ამბის მამამთავარი გაძევებულია ქვეყნიდან, ტყუილად აქვს კახა ცაბაძეს და კომპოზიტორთა კავშირის მის მომხრეებს იმის იმედი, რომ ჩვენი ორგანიზაცია და კონკრეტულად ბურჯანაძე მათ ამ თანხას გადაუხდის.

**— ბატონო გიორგი, პოლიციამ ნახა ადგილზე, რა ხდებოდა? რა კოზირები გაქვთ?**

– ჩვენი კოზირია ის ვიდეოჩანაწერი, რაც ამ კლუბში გვაქვს გადაღებული. ეს ფაქტი ჩვენთვის საინტერესო იყო იმ მოსაზრებით, რომ აქ ცნება „არასრულწლოვანი“ ფიგურირებდა, არასრულწლოვანი გოგონები. აქედან გამომდინარე, დავიწყეთ ამ ფაქტის გამომზეურებაზე მუშაობა. პლეხანოვის მაცხოვრებლები ორი წლის მანძილზე ყვიროდნენ ყველას გასაგონად, რომ აქ ადგილი ჰქონდა პროსტიტუციას.



რაც შეეხება პოლიციას, ჩვენ მიერ ეს ფაქტი რომ გამომზეურდა და თქვენი გაზეთის საშუალებით დაიწერა, ამ ამბიდან ორი კვირის თავზე წავიდა კახა ცაბაძე პოლიციის განყოფილებაში, ეგება მოხვიდეთ და გამოარკვიოთ, არასრულწლოვნები ჩვენ მიერ გაქირავებულ ფართში არიან თუ არა ჩაბმულები პროსტიტუციაშიო. მართლაც, მივიდნენ განყოფილებიდან თანამშრომლები და ვერაფერი ნახეს.

**— ორი კვირის შემდეგ რას ნახავდნენ?**

– გეთანხმებით, როგორ იქნებოდა იქ რამე, როცა ამაზე ერთი ამბავი ატყდა და ტელევიზიებმაც აიტაცეს? ამ დროს ვიდეოში კარგად ჩანს, რომ ჩვენი მონიტორინგის წარმომადგენლებს სთავაზობენ არასრულწლოვნების მომსახურებას. გარწმუნებთ, პოლიციელიც რომ იგივე სახით შესულიყო, ფაქტის მოწმე ისიც იქნებოდა და ანალოგიურ მტკიცებულებას ისიც მოიპოვებდა.

**— და თქვენ მიერ გადაღებული ვიდეო გამოდგება სასამართლოზე მტკიცებულებად? მიიღებს ამას სასამართლო? თუ გეტყვით, სხვაგან არის გადაღებულიო?**

– ეს უკვე სასამართლოს გადასაწყვეტია. თუ ამ ვიდეოფირის ავთენტურობის დადასტურება მოგვთხოვეს, შეუძლიათ ექსპერტიზა ჩაუტარონ და გარწმუნებთ, რომ არც სხვა ადგილზე არ არის გადაღებული და არც დამონტაჟებულია. ამ ვიდეოში კარგად ისმის დაცვის თანამშრომლის ნათქვამი, რომ აქ არასრულწლოვანი ბავშვებიც გვყავსო.

**— კი, მაგრამ ლარს გთხოვთ ცაბაძე, თუ დოლარს, ეს ჯერ ვერ გაარკვიეთ?**

– უფრო დოლარს, რადგანაც ის ერაყელი დოლარით უხდიდა ქირის გადასახადს, მაგრამ არა მგონია. სამი კვირის შემდეგ არის პროცესი და ვნახოთ, რა იქნება.

**— თუ პროცესი წააგეთ, რას აპირებთ?**

– თანხას ვერ გადავიხდი, ამიტომ, სავარაუდოდ, დაყადაღდება ჩვენი ორგანიზაციის ანგარიშები, მაგრამ მანამდე აუცილებლად გავასაჩივრებ გადაწყვეტილებას და ამასობაში მაქვს პლეხანოველების იმედი, რადგანაც მათი მინიშნებით დავიწყე ამ საქმის შესწავლა.

**ამის შემდეგ ვუკავშირდებით კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარეს კახა ცაბაძეს:**

– გიორგი ბურჯანაძეს კახა ცაბაძე კი არ უჩივის, არამედ კომპოზიტორთა კავშირი და რა გაინტერესებთ თქვენ, სასამართლო? დააზუსტეთ, როდის იქნება მობრძანდით და მოსმინეთ, რა იქნება.

**— ბურჯანაძე აცხადებს, რომ ახალი გარემოებების მიხედვით 100 000-იანი ფულადი გადასახადი დაგიკისრებიათ, რადგან ბარის ერაყელი პატრონი გაგიქციათ.**

– მართალია, გააქცია, აბა, რა! რას დააკისრებს, მაგას სასამართლო გადაწყვეტს, 50 000 ლარს ვითხოვთ, მაგრამ საერთოდ, მოგვაყენეს 170 000 დოლარის ზარალი კავშირს, რაც იმ კაცს უნდა გადაეხადა რამდენიმე წლის განმავლობაში.

**— კი, მაგრამ ანტიკორუფციული კავშირი აცხადებს, იქ არასრულწლოვანთა პროსტიტუცია ხდებოდაო.**

– სასამართლოს დაუმტკიცოს, რა! და ვერაფერს მსგავს ვერავის დაუმტკიცებს, თუ რამე უნდა, სასამართლოს დაუმტკიცოს, მეტი რა ვქნა?

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

## „რესპუბლიკელები“ შსს-დან უშიშროების გამოყოფას მოითხოვენ

**„რესპუბლიკური პარტია“ სამართალდამცავი სტრუქტურების რეფორმირებაზე ფიქრობს. დავით ბერძენიშვილის განცხადებით: „ჩვენს საარჩევნო პროგრამაში წერია, რომ შს სამინისტრო საშინაო საქმეთა სამინისტროდ უნდა შეიცვალოს, სპეცსამსახურები იქიდან უნდა გავიდნენ. ამის განხორციელება არის კოალიციის ერთობლივი ვალდებულება. ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით, ამ ვალდებულების შესრულებაში კოალიციის სხვა სუბიექტები დავიამხანაგოთ“.**

**კონკრეტულად როგორ ესახებათ და რა მოდელზე მუშაობენ „რესპუბლიკელები“? როგორ აპირებენ ინიციატივის გატანას, როცა ამას საკონსტიტუციო ცვლილებები და პარლამენტში 114 ხმა სჭირდება?**

**„ალიას“ „რესპუბლიკელი დეპუტატი, ყოფილი პროკურორი, გიგლა აგულაშვილი ესაუბრა:**

**— ბატონო გიგლა, როგორ ესახებათ „რესპუბლიკელებს“ შსს-ს დაყოფა? რა მოდელი გნებავთ კონკრეტულად?**

– აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების სამსახურის გამოყოფა, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროსგან, ასევე მთავრობისგან და მისი ჩამოყალიბება დამოუკიდებელ სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოდ, რომლის დირექტორსაც პარლამენტის თანხმობით თანამდებობაზე დანიშნავს და გაათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი.

**— უმრავლესობამ, როცა ხელისუფლებაში მოვიდა, უარი თქვა პოლიციის სხვადასხვა უწყებებად დაყოფაზე, ახლა რა შანსია, რომ თანაგუნდელები ამაზე დაგეთანხმოთ?**

– ამისთვის არა მხოლოდ პოლიტიკური პარტნიორები და პოლიტიკური ოპოზიცია, არამედ საზოგადოება უნდა დავარწმუნოთ.

**— ამას საკონსტიტუციო ცვლილებები და 114 ხმა სჭირდება პარლამენტში. ამას როგორ მოახერხებთ „ნაციონალების“ ხმების გარეშე?**



– ჩვენ, „რესპუბლიკელებს“, გვახასიათებს თამაშის წესების დაცვა. სანამ საჯარო სივრცეში დავიწყებთ საუბარს, ჩვენი პოზიციებისა და შეხედულებების არგუმენტირებას, მანამდე ჩვენს პოლიტიკურ პარტნიორებთან და მეგობრებთან გავდივართ კონსულტაციებს. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი პოლიტიკური პარტნიორები ისეთივე პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ჩვენი საარჩევნო დანაპირების შესრულებას, როგორც ჩვენ. რაც შეეხება ოპოზიციური სპექტრის მხარდაჭერას ან წინააღმდეგობას, ჩემთვის ცნობილი არ არის მათი შეხედულებების შესახებ, თუმცა ვფიქრობ, ფართო კონსენსუსის მიღწევა მნიშვნელოვანია.

ჟანა ასანიძე
568 00 14 14

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ზურაბ ჟვანიას წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი მიენიჭა



საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პრემიერ-მინისტრ (2004-2005) ზურაბ ჟვანიას წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი მიანიჭა.

გარდაცვალებიდან 9 წლის შემდეგ, ზურაბ ჟვანია ქართული სახელმწიფოს დემოკრატიული აღმშენებლობის, საქართველოს ევროინტეგრაციისა და ქართული პარლამენტარიზმის განვითარებისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოვდა.

მარგველაშვილმა, ჯილდო, ჟვანიას ოჯახის წევრებს ავლაბრის რეზიდენციაში გადასცა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თსუ-ის რექტორი განცხადებას ავრცელებს



თსუ-ის რექტორი ვლადიმერ პაპავა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და პარლამენტის წევრების მიმართ რვა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რექტორის მიმართვას გამოეხმაურა.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო ერთ-ერთი პირველი უმაღლესი სასწავლებელი, რომელმაც საბიუჯეტო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით მძაფრი რეაქცია გამოხატა. ჩვენ ოფიციალური წერილით მივმართეთ ფინანსთა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრებს, რის შემდეგაც ფინანსთა სამინისტროში გაიმართა სახელმწიფო უნივერსიტეტების რექტორებისა და კანცლერების შეხვედრა. ჩვენ შეხვედრაზე არგუმენტირებული მოსაზრებები და წინადადებები დავაფიქსირეთ. ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტების წარმომადგენელთა ყველა შენიშვნასა და წინადადებას გაითვალისწინებდნენ. შეგვპირდნენ, რომ უნივერსიტეტების შემოსავლებისა და ხარჯების სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე გადატანით, უნივერსიტეტების ავტონომიურობა არ იზღუდებოდა. ამ შეხვედრაზე ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელი მიესალმა კიდეც ცვლილებების პროექტს. ამიტომ ფინანსთა სამინისტროს პირობის შემდეგ, ჩვენთვის ცოტა გასაკვირია მიმართვა პარლამენტისადმი. ამის მიუხედავად, ჩვენთვის რომ შემოეთავაზებინათ, უნივერსიტეტების სოლიდარობის პრინციპიდან გამომდინარე, ამ მიმართვას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორიც მოაწერდა ხელს“. – აღნიშნა რექტორმა.

მისივე განცხადებით, უნივერსიტეტის ავტონომიურობის განმტკიცებისთვის აუცილებელია, შეიცვალოს მათი სამართლებრივი ფორმა და საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან დაუბრუნდნენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსს. (ნიუპოსტი)

# ვისი „კლანის“ წევრია შსს-ს გენინსპექციის უფროსად დანიშნული იოსებ გოგაშვილი

## და რატომ აბრუნებს ივანიშვილი სახელმწიფო დაცვაში ანზორ ჩუბინიძეს?

ბოლო ერთი კვირაა, საზოგადოება „კახური კლანის“ განეიტრალებასა და ირაკლი ღარიბაშვილის გავლენის შესუსტებაზე საუბრობს. მას შემდეგ, რაც თამაზ თამაზაშვილის დისშვილმა, ზვიად ჯანყარაშვილმა პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის თანამდებობა დატოვა, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენინსპექციის უფროსი, ირაკლი სამყურაშვილიც დაემშვიდობა პოსტს. არაერთი ვერსია გაავრცელეს ბიძინა ივანიშვილის დამოკიდებულების თაობაზე – თითქოს მისმა დეიდაშვილმა, უჩა მამაცაშვილმა ირაკლი ღარიბაშვილის კადრების მოშორება დაიწყო და გადაწყვიტა, თავისი, ანუ ივანიშვილის კადრები დააწინაუროს. როგორც ჩანს, ეს ვერსია



სიმართლეს არის მოკლებული, რადგან 9 დეკემბერს ცნობილი გახდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენინსპექციის უფროსის პოსტი დედოფლისწყაროს რაიონში, სოფელ ზემო მაჩხაანში, 1972 წელს დაბადებულმა იოსებ გოგაშვილმა დაიკავა, რომელიც აქამდე ამავე ინსპექციის ოპერატიული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოადგილე იყო.

იოსებ გოგაშვილის მიერ შევსებული ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ის ცხოვრობს თბილისში, 9 აპრილის ქუჩაზე, ჰყავს მეუღლე და 3 შვილი. ქონებრივი დეკლარაციიდანვე ირკვევა, რომ, სანამ სამმართველოს უფროსის მოადგილე გახდებოდა, გენინსპექციაში იყო მთავარი სპეციალისტი, ხოლო შემდეგ საქართველოს გაზისა და ნავთობის კორპორაციაში ასევე მთავარი სპეციალისტი. პირველ სამსახურში ერთი წლის განმავლობაში მიღებული აქვს 13 ათას 879 ლარი, ხოლო მეორეში – 12 ათასი ლარი. მოადგილეობის პერიოდში აიღო 30 ათასი ლარი.

გავრცელებული ინფორმაციით, იოსებ გოგაშვილის ქალიშვილი, 1994 წელს დაბადებული ნინო გოგაშვილი 9 დეკემბრამდე გენინსპექციის მთავარი სპეციალისტი იყო. როგორც კი იოსებ გოგაშვილი დანიშნეს უფროსის თანამდებობაზე, მან პირველ რიგში საკუთარი შვილი გაუშვა სამსახურიდან. ვერაფერს იზამ, ცხოვრება მოვიდა ისეთი, ინტერესთა კონფლიქტი თან გვდევს მუდმივად, მაგრამ ეს მამა-შვილი რომ გენინსპექციაში მთავარ სპეციალისტად მუშაობდა, ცოტა უხერხული ხომ არ იყო? სპეციალისტის თანამდებობა არ ითვლება მაღალ ჩინად და ამ შემთხვევაში არც ინტერესთა შეუთავსებლობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ მაინც არსებობს რაღაც დაუწერელი კანონი.

„ალიას“ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, გოგაშვილი პროფესიით ეკონომისტია, დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. რამდენად გაართმევს თავს ეკონომისტი შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან თანამდებობას, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

კიდევ ერთი სიახლე, ანუ დანიშვნა: სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის მოადგილედ ბიძინა ივანიშვილის დაცვის სამსახურის ყოფილ უფროსს ანზორ ჩუბინიძეს ამწესებენ. ამის შესახებ ინფორმაციას საპარლამენტო უმცირესობის წევრი ირმა ნადირაშვილი ავრცელებს. მისი თქმით: „უკვე რამდენიმე დღეა, სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურში სიარული დაიწყო ანზორ ჩუბინიძემ (ამ სამსახურისა და ბიძინა ივანიშვილის დაცვის ყოფილმა უფროსმა). ჩემი ინფორმაციით, ის მოადგილის პოსტზე დანიშვნას ელოდება. ღარიბაშვილს ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთ სამსახურში მიუჩინა მეთვალყურე.

ივანიშვილის ურჩევნია, მისი ყველა მონა სუსტი იყოს, თავში აზრადაც რომ არ გაივლონ დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაშის წამოწყება“.

ანზორ ჩუბინიძე ტელეფონზე არ პასუხობს. არც მაშინ პასუხობდა, როცა ის ივანიშვილის დაცვის უფროსობიდან სახელმწიფო დაცვის სამსახურის ხელმძღვანელად გადაიყვანეს და რამდენიმე თვეში დაწერა განცხადება წასვლის თაობაზე. დღემდე ამ საქმესთან დაკავშირებით არსებობს ორი ვერსია: პირველი – თითქოს მას ირაკლი ღარიბაშვილთან მოუვიდა უთანხმოება; მეორე – ის თავად ბიძინა ივანიშვილმა დაითხოვა, როცა პრემიერ-მინისტრობის პერიოდში სახელმწიფო დაცვა ცალკე ჩამოყალიბდა და მან გარშემო საეჭვო ხალხი შენიშნა. როგორც ამბობენ, ივანიშვილმა ჩუბინიძე დაიბარა და ჰკითხა: ეს უცხო და საეჭვო ხალხი ვინ არისო? როდესაც პასუხი ვერ მიიღო და სხვადასხვა არხებით თავად გაარკვია, რომ მას ლამის ყოფილი „ნაციონალები“ იცავდნენ, ჩუბინიძე სამსახურიდან გაუშვა. ამჟამად სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს ხელმძღვანელობს თეიმურაზ მღებრიშვილი, რომელიც წარმოშობით თელავიდან გახლავთ (ესეც „კახური კლანის“ წევრი ყოფილა) და ირმა ნადირაშვილიც სწორედ ამიტომ ასკვნის, რომ ბიძინა ივანიშვილი მას მაკონტროლებლად ანზორ ჩუბინიძეს უნიშნავს. ისე, თავად ირმა ნადირაშვილიც კახელია, როცა მისი და და ქმარი სახელმწიფო სამსახურებში ინიშნებოდნენ, რატომ არ ჰქონდა ადგილი „კლანაობას“? ისე, კაი გაძლება მისცეს ირაკლი ღარიბაშვილს, დანიშნავს ვინმეს თანამდებობაზე – ვაი, არ დანიშნავს და უი!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

# რა მზაკვრული და ფართომასშტაბიანი გეგმა აქვს რუსეთს საქართველოს მიმართ?

**საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის გიორგი ვოლსკის განცხადებით, ქართული დიპლომატია უნდა ეცადოს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად შეინარჩუნოს ფორმატები, მათ შორის ჟენევის, სადაც ბევრი მოთამაშე იქნება ჩართული და უფრო ბევრი პოლიტიკური რესურსი ექნება ქართულ მხარეს მობილიზებული. მისივე თქმით, რუსეთს გაცილებით ფართომასშტაბიანი და მზაკვრული გეგმები აქვს, ვიდრე ის ხელმოწერაა, რომელიც აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან გაფორმდა.**

**შესაძლებელია თუ არა ჟენევის ფორმატში რუსეთზე ზეწოლის განხორციელება?**

**რა მზაკვრული გეგმა აქვს რუსეთს? რის გადაფარვას ცდილობენ „ნაციონალები“ თავისი განცხადებებით?**

**„ალია“ პარლამენტის წევრს, გია ვოლსკის ესაუბრა:**

**— ბატონო გია, ამბობთ, რომ ბევრი მოთამაშე უნდა ჩაერთოს მოლაპარაკებებში. ოთხმხრივი შეხვედრებია და მეტი ვინღა უნდა ჩართოთ, ან ეს ჩართვა რას შეცვლის?**

– მე არ მინდა საკითხის გაპრიმიტიულება, მე ბევრ მოთამაშეში არ ვგულისხმობ იმ განცხადებებსა და პოლიტიკურ პოზიციებს, რომლებიც ქვეყნებმა გამოხატეს. აქ არის საექსპერტო საზოგადოება, საერთაშორისო ორგანიზაციები, ცალკეული პოლიტიკოსები და მუდმივი საერთაშორისო ყურადღება.



**— გიგა ბოკერიამ თქვა, ჟენევის ფორმატი რუსეთზე ზეწოლისთვის უნდა იქნას გამოყენებულიო. რამე ზეწოლის მოხდენა შეუძლია ქართულ მხარეს?**

– ჟენევის ფორმატზე წასვლის წინ, როცა ხელისუფლებაში ხარ და ვალდებულებები გაქვს, თუნდაც უსაფრთხოების თვალსაზრისით, არ უნდა გააკეთო განცხადება, რომ ამ ფორმატში ახორციელებ ზეწოლას და არამოლაპარაკებას. ეს არ არის საქართველოსთვის კეთილი საქმე, ეს არის განცხადება განცხადებისთვის. ბოკერიასა და მისი გუნდის მიზანი და მისწრაფებაა, შეარყიოს სახელმწიფოს სტრატეგია. სტრატეგია მოლაპარაკებას ითვალისწინებს, „ნაციონალების“ სტრატეგია მოლაპარაკების მიმდინარე პროცესის დისკრედიტაციაა. ეს არის საერთაშორისო ფორმატი, არ არის საჭირო დამატებითი ეპითეტების მოგონება, ვიცით, რისთვისაც არის ეს ფორმატი საჭირო. ზეწოლის დემონსტრირება სხვა ფორმატია. ჟენევა არის მოლაპარაკებებისთვის და არა ზეწოლისთვის მოგონილი მექანიზმი.

**— ამბობთ, რომ რუსეთს ფართომასშტაბიანი მზაკვრული გეგმები აქვსო. კონკრეტულად რა იგულისხმეთ?**

– ეს საიდუმლო არაა, აქ საუბარი არაა იმაზე, რაზეც რუსეთს საჯაროდ არ უსაუბრია, მაგრამ ის, რაც მისთვის მისაღებია, არაა მისაღები მისი მეზობლებისთვის. საქმე ისაა, რომ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია კარგად უნდა სცოდნოდა წინა ხელისუფლებას, ეს არის სამხრეთ კავკასიაში პოზიციების გაძლიერება, სატრანზიტო დერეფნების კონტროლი და ენერგორესურსების მოპოვების შენარჩუნება, ეს არის რუსეთის სტრატეგიული გეგმა და მისი რეალიზაციისთვის მოახდინა რუსეთმა ოკუპაცია. როცა ამ თემაზე ვსაუბრობთ, უნდა ვთქვათ ისიც, რომ საქართველოს საერთაშორისო მხარდაჭერით ჰქონდა საშუალება, განეხორციელებინა „საგზაო რუკა“, რომელიც დამტკიცებული იყო და რომლის საწინააღმდეგო მოქმედების არეალი რუსეთს შეზღუდული ჰქონდა გარემოებათა გამო, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს „საგზაო რუკა“ ჩამოშლილიყო, არ ჰქონოდა გაგრძელება მას და სულ სხვა სიბრტყეში გადაიყვანა ეს სამშვიდობო პროცესი. აქედან გამომდინარე მივიღეთ ის შედეგი, რომელიც კრემლს სჭირდებოდა. თავი რომ დავანებოთ ემოციას, კრემლს ჰქონდა სტრატეგიული მიზნები, ჩვენ გვქონდა რესურსი ამ საკითხის საჩვენოდ გამოყენების, რომ არ დაზარალებულიყო ჩვენი ეროვნული ინტერესები. რუსეთმა თავისი გეგმა განახორციელა წინა ხელისუფლების დანაშაულებრივი შეცდომების წახალისებით. ახლა ოპონენტებისთვის რაღაცების დაბრალება და ფანტასმაგორიული კონცეფციების წამოყენება, ყველაფერი ეს არის იმის გადასაფარად, რა შეცდომებიც დაუშვეს მათ ხელისუფლებაში ყოფნის დროს.

ჟანა ასანიძე
568 00 14 14

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## პატრულის ახალ მანქანას სატვირთო ავტომობილი დაეჯახა



საპატრულო პოლიციის ახალ მანქანას, რომელშიც პატრულის თანამშრომლები იმყოფებოდნენ, სატვირთო ავტომობილი დაეჯახა. შემთხვევა მცხეთასთან მოხდა.

შსს-ს ინფორმაციით, საპატრულო მანქანა გზის უკიდურეს მარჯვენა გვერდულზე იდგა, რა დროსაც სატვირთო ავტომობილი უკანა მხრიდან დაეჯახა. შეჯახების მიუხედავად, ავტომობილის დაცულობის წყალობით, პატრულის თანამშრომლები გადარჩნენ.

სატვირთო ავტომობილის მძღოლი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ის მიმალვასაც ცდილობდა, თუმცა სამართალდამცველებმა მძღოლი მალევე დააკავეს.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 276-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უნგრეთის პარლამენტმა საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიკაცია მოახდინა



უნგრეთის პარლამენტმა ევროკავშირთან საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ასოცირების შესახებ შეთანხმებების რატიფიკაცია მოახდინა. უნგრეთის პრეზიდენტის იანოშ ადერის ხელმოწერით, რატიფიცირებული შეთანხმებები ძალაში შევიდა.

„მივესალმებით ევროკავშირთან პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური ურთიერთობების განმტკიცების კუთხით ჩვენი პარტნიორების მიერ მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს და უკრაინის, მოლდოვასა და საქართველოს მიერ გატარებულ რეფორმებსა და ძალისხმევას, რამაც შესაძლებელი გახადა 27 ივნისს ასოცირების შესახებ შეთანხმებების ხელმოწერა. ეს შეთანხმებები წარმოადგენს ახალ ეტაპს ჩვენს ურთიერთობებში და ასახავს მზაობას, განვავითაროთ საერთო ღირებულებებზე დამყარებული მჭიდრო და მტკიცე ურთიერთობები, ასევე უზრუნველვყოთ დემოკრატიული პრინციპების, კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებათა (მათ შორის უმცირესობათა უფლებების) და ფუნდამენტური თავისუფლებების სრული პატივისცემა. ეს შეთანხმებები მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ დებულებებს და პარტნიორებს სთავაზობს ევროკავშირის ნორმებთან დაახლოების ვრცელ პროგრამას, რომელიც მათ რეფორმების განხორციელებაში დაეხმარება“. – ნათქვამია უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## რას უპასუხებს ტრანსპორტის სამსახურის უფროსი საკრებულოს საცობებზე და ყვითელ „მარშრუტკებზე“?

დედაქალაქის საკრებულოს ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსს პაატა ჯაჭვლიანს შეხვდება.

შეხვედრაზე განხილული იქნება ტრანსპორტის სამსახურის სამოქმედო გეგმა თბილისში არსებული საცობების მოგვარების კუთხით; რა ხედვა აქვს მერიას საზოგადოებრივი ტრანსპორტის განტვირთვისა და გამართული მუშაობისთვის; საგზაო ნიშნების, ხელოვნური ბორცვების განთავსება და მონიტორინგი. ასევე, წარმოდგენილი იქნება ე.წ. ყვითელი მიკროავტობუსების სატრანსპორტო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება, ქალაქში გადაადგილების ინტერაქტიული რუკა და კომპანია „ფორდის“ მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც კომპანიას საშუალებას აძლევს მიკროავტობუსებში მოქალაქეთა ფეხზე დგომა დაუშვას.

**რაზე ისაუბრებენ დეპუტატები ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსთან? გადაიხედება თუ არა „მარშრუტკების“ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულებები? რა ეტაპზეა „სითი პარკის“ საქმე?**

**„ალიას“ ფრაქციის თავმჯდომარე ზაზა ვეკუა ესაუბრა:**



**— ბატონო ზაზა, რა კითხვებს დაუსვამთ ჯაჭვლიანს?**

– დავიწყოთ იმით, რომ ქალაქში დიდი საცობებია, ადრე თუ პიკის საათებში იყო მხოლოდ, ახლა იმატებს და ეს პრობლემა მოსაგვარებელია. აქვთ თუ არა ამ საკითხზე რაიმე ხედვა და რაში გამოიხატება, ეს უნდა გავიგოთ. შესაბამისად, ჩვენ გვაქვს ჩვენი მიმართულებები, გამოსავლის გზები.

**— ანონსში ხელშეკრულებაზეც არის საუბარი. როგორც ამბობდნენ გასაიდუმლოებულიაო. თქვენ კონკრეტულად რა გაინტერესებთ?**

– რომელიც არის საჯარო, მხოლოდ მათ ვითხოვთ. გვაინტერესებს, როგორ არის დადებული და რამდენად არის გათვალისწინებული დედაქალაქის ინტერესები. ჩვენთვის მთავარია, დაცული იყოს არა მხოლოდ კომპანიის, არამედ მგზავრის ინტერესები.

**— თუ რამე საეჭვოს აღმოაჩენთ, ალბათ, შეისწავლით და მერე რას აპირებთ?**

– კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას. წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ცხადია, ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები გვაქვს. ვიტყვით, რა არის ამ ხელშეკრულებებში მიუღებელი, სად არის გადაცდომები და სად არის დანაშაულის ნიშნები. როცა ვნახავთ და კონკრეტულად გვექნება საუბარი, უფრო დეტალურად შევძლებ მასზე საუბარს. საუბარი იქნება ყველაფერზე, კომპლექსური ხედვაა საჭირო ვითარების მოსაწესრიგებლად, რადგან იმდენად გაუსაძლისი მდგომარეობაა, რომ კიდევ უფრო დამძიმდება. ეს ისეთი სამსახურია, საგზაო ნიშნებიც უნდა მოაგვაროს, მონიტორინგი უნდა განხორციელდეს, სად არის ხშირად საცობი, სად აქვს კუდი მას.

**— შალვა ოგბაიძის ინიციატივას, საცობების განსატვირთად სწრაფი რეაგირების სამსახურის შექმნაზე, რა ბედი ეწია? უმრავლესობამ ერთხელ უკვე ჩააგდო. შეიძლება მეორე ჯერზე დამტკიცდეს?**

– გარანტია არ არსებობს, მაგრამ რასაც ვითხოვთ, არანაირ დამატებით ხარჯს არ მოითხოვს, არც დამატებით შტატებს. იმ შტატის ფარგლებში არის შესაძლებელი მისი შექმნა, რაც არსებობს საქალაქო სამსახურში.

**— გქონდათ საუბარი უმრავლესობასთან, ამ საკითხზე? ხომ არ დაითანხმეთ?**

– საკითხი უმრავლესობით წყდება, მათაც აწუხებთ საცობები და წესით, უნდა დასთანხმდნენ, რადგან დედაქალაქის მაცხოვრებლების აგრესია მათ მიმართ არის პირველ რიგში. რამდენად იქნებიან უფლებამოსილები, დამოუკიდებლად აწიონ ხელი, ამას მალე დავინახავთ. შეუძლებელია, თბილისში ცხოვრობდე და არ გაწუხებდეს სამსაათიანი საცობის შედეგად გადატვირთული ქუჩები.

**— ბატონო ზაზა, რა ხდება „სითი პარკთან“ დაკავშირებით, ერთი თვე გადის უკვე, რაც აუდიტმა დოკუმენტაციის შესწავლა დაიწყო. რა ეტაპზეა ეს საქმე?**

– საერთაშორისო აუდიტი სწავლობს. დანაშაულებრივ ნიშნებს შეიცავდა ეს ხელშეკრულებები. დასკვნის შემდეგ ველოდებით ამ კომპანიის წარმომადგენლებს და მოვისმენთ მათ ხედვებს.

ჟანა ასანიძე
568 00 14 14

## სასურველ ბიზნესპარტნიორებზე ინფორმაციები ღია გახდება

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონში ცვლილებები შედის. ცვლილებები, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის ამოქმედებას 2016 წლის 1-ლი იანვრიდან ითვალისწინებს.

მაგალითად, თუ თქვენ გადაწყვეტთ საქმიანი ურთიერთობა დაიჭიროთ კონკრეტულ პიროვნებასთან ან ორგანიზაციასთან, სიახლე მოგცემთ საშუალებას, რომ ელექტრონულად, ინტერნეტის საშუალებით, მოიძიოთ ამა თუ იმ ადამიანსა თუ ორგანიზაციაზე ინფორმაცია და წინასწარ გაიგოთ, რამდენად გადახდისუნარიანია სუბიექტი, ხომ არ არის ის გაკოტრების ზღვარზე?

სიახლე ძალაში 2015 წლის იანვრიდან უნდა შესულიყო, თუმცა, პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა გადაწყვიტა ბაზის მოსაწესრიგებლად სიახლის ამოქმედება გადაედო.

როგორც იურიდიულ კომიტეტში განაცხადეს: „კანონის ამოქმედების ვადის გადავადების მიზეზი გახდა სხვადასხვა გარემოებები, რის გამოც ამ ეტაპზე შეუძლებელია გადახდისუუნარობის საქმეში მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთობის გამარტივებისა და მოწესრიგებისთვის განკუთვნილი ელექტრონული სისტემის შექმნა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა“.

**„ალიას“ პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, თამაზ ავდალიანი ესაუბრა:**



– გადახდისუუნარობის საქმის წარმოება გულისხმობს საქმის წარმოების პროცესში კანონით გათვალისწინებული მოქმედებების ელექტრონული საშუალებით შესრულებას, მათ შორის ინფორმაციის გამოქვეყნებასა და გაცვლას სუბიექტებს შორის. ანუ, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში, ყველა სასამართლო განჩინების ელექტრონულ სისტემაში განთავსებას. ასევე, კრედიტორთა კრების, მომრიგებელი საბჭოს, მეურვის, გაკოტრებისა და რეაბილიტაციის გადაწყვეტილებას და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ელექტრონულ სისტემაში მოქცევას.

**— რატომ ვერ ხერხდება სიახლის ახალი წლიდან ამოქმედება?**

– ვერ ხორციელდება, იმიტომ, რომ სასამართლოსა და სააღსრულებოს წარმომადგენლები ვერ თანხმდებიან და ერთი მეორისკენ იშვერს ხელს, რომ რაღაც საკითხები არ არის მათი მოსაგვარებელი. ამის გამო, კანონით გათვალისწინებული ამ ნორმის ერთი წლით გადავადება მოგვიწია. იურიდიულმა კომიტეტმა ვურჩიეთ, წარმოადგინონ წინადადებები, რას ფიქრობენ და როგორ გააკეთებენ.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, ვისი გადასაწყვეტია ეს საკითხი?**

– ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი არის სასამართლოს გადასაწყვეტი, ვინაიდან სასამართლოა ჩართული თავიდან ბოლომდე საქმეში, ხოლო აღსრულების ბიურო მერე ერთვება, აღსრულების პროცესში. ჩვენი რეკომენდაციის მიხედვით, ყველა ის პირი, ვინც ჩართული იქნება ამ საქმეში, ეს იქნება შს სამინისტრო, სააღსრულებო, სამოქალაქო თუ საჯარო რეესტრი, ყველაფერი ეს სისტემურად უნდა იყოს ჩართული.

ჩვენ ერთი წლით კი გადავწიეთ ამ ცვლილების ამოქმედება, მაგრამ ამ ერთ წელიწადში ყველა საქმე მაინც განთავსებული უნდა იყოს ელექტრონულად. მაგალითად, რომ ავიღოთ, გაკოტრების საქმე, როცა ადამიანი რაიმე სახის ეკონომიკურ საქმიანობას აწარმოებს, შეუძლია, შევიდეს ინტერნეტში კონკრეტულ საიტზე და ნახო ის ადამიანი, ან კომპანია, რომელთანაც აპირებს საქმის დაჭერას, რა მდგომარეობაშია ფინანსურად. ამ საკითხში ჩართული იქნება პერსონალური დაცვის ინსპექტორიც.

**— პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ჩართვა რატომ გახდა საჭირო?**

– იმიტომ, რომ წვდომა ჰქონდეთ უშუალოდ კრედიტორებსა და მევალეებს. სისტემა მაქსიმალურად გამჭვირვალე უნდა იყოს, განსაკუთრებით იმ პირებისთვის, ვისთვისაც საჭიროა ამ ინფორმაციის ფლობა. ძირეული საქმიანობაა განსახორციელებელი და ამისთვის წინ ერთი წელი გვაქვს.

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ავტოავარიაში ოთხი პირი დაშავდა



ოზურგეთი-ლანჩხუთის ავტომაგისტრალის სილაურის მონაკვეთზე მომხდარი ავტოავარიის შედეგად ოთხი ადამიანი დაშავდა, მათ შორის ორი სასულიერო პირი.

შემთხვევა ორი დღის წინ, 7 დეკემბერს საღამოს საათებში მოხდა, როცა ერთმანეთს ორი ავტომანქანა შეეჯახა. გავრცელებული ინფორმაციით, მანქანა, რომლითაც სასულიერო პირები გადაადგილდებოდნენ, ჯუმათის მონასტრიდან ქუთაისის მიმართულებით მოძრაობდა. გზაში კი საპირისპიროდ მოძრავ მსუბუქ ავტომანქანას შეეჯახა. ავარიის შედეგად ოთხივე დაშავებული ოზურგეთის სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს.

თვითმხილველების ცნობით, დაშავებულები ცენტრში არაფხიზელ მდგომარეობაში მიიყვანეს.

ამ დროისთვის სამი მათგანი ბინაზე მკურნალობას განაგრძობს, ერთ-ერთი დაშავებული კი რეფერალურმა სამსახურმა მარჯვენა ბარძაყის ძვლის მოტეხილობით იმ დღესვე გადაიყვანა ქუთაისის სამედიცინო ცენტრში.

ინციდენტთან დაკავშირებით, საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილითაა აღძრული, რაც სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის წესის დარღვევას, ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებით ითვალისწინებს. (ნიუპოსტი)

## პოპულარული რესტორნები, რომლებშიც სურსათის სააგენტომ დარღვევები აღმოაჩინა

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 2014 წელს საქართველოს მასშტაბით რესტორნები შეამოწმა. მონიტორინგის შედეგად, 136 ობიექტში – არაკრიტიკული, 6 რესტორანში კი კრიტიკული შეუსაბამობები გამოვლინდა. უმეტეს შემთხვევაში ბიზნესოპერატორებმა შემოწმების დროს ვერ წარადგინეს პროდუქციის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე, სამზარეულოების დიდი ნაწილი არ იყო დაცული მღრღნელებისა და მწერებისგან.

გთავაზობთ პოპულარულ რესტორნებში გამოვლენილ დარღვევებს:

**თბილისი**

**რესტორანი „წისქვილი“ (ბელიაშვილის ქუჩა)** – ბიზნესოპერატორმა ვერ წარმოადგინა სურსათის საწარმოებლად გამოყენებული სასმელი წყლის ხარისხის დამადასტურებელი ლაბორატორიული გამოცდის ოქმი და პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.



**რესტორანი „ზარმაცები“ (ქსნის ქ. 45ა)** – სამზარეულოს საკან-მაცივრებში არ არის თერმომეტრები, გარეთ გამავალი ფანჯრები არ არის დაფარული მწერებისგან დამცავი ადვილად გასაწმენდი ბადით.

**რესტორანი „მუხამბაზი“ (აღმაშენებლის ხეივანი, მე-11 კმ)** – შენობა არ არის დაცული მღრღნელების, მწერებისა და ცხოველებისგან, გარეთ გამავალი ფანჯრები არ არის დაცული მწერებისგან დამცავი ბადით (სამზარეულოსა და სამრეცხაოში), სამრეცხაოში მაგიდის ზედაპირები არ ექვემდებარება რეცხვა-დეზინფიცირებას. სამზარეულოს ინვენტარი ხის კოვზები, ქვაბები და დაფები არ არის სუფთა მდგომარეობაში.

**შპს „სენატის“ რესტორანი (ვაკის პარკის მ/ტ)** – არ ხდება მღრღნელებისა და მწერების შენობაში შეღწევის შემთხვევაში, ჩატარებული სადეზინფექციო, სადერატიზაციო და სადეზინფექციო სამუშაოების აღრიცხვა, სამზარეულოში გაზქურა, ღუმელი, გამწოვები, აგრეთვე, ხაჭაპურის საცხობის ღუმელი არ არის სუფთა მდგომარეობაში. პროდუქტის გასაცემი მაგიდა, სამრეცხაოში ჭურჭლის დასაწყობი თაროები, ასევე ხაჭაპურის საცხობ ოთახში მაგიდის ზედაპირები არ ექვემდებარება რეცხვა-დეზინფიცირებას.

**რეტორანი „თაღლაურა“ (ბელიაშვილის ქუჩაზე)** – სამზარეულოს ჭერზე ხდება ჭუჭყის დაგროვება, ასევე ხორცის დასამუშავებელი ოთახის ჭერი, სამწვადის ჭერი და სახაჭაპურის ჭერი არ არის ადვილად გასაწმენდი, ბიზნესოპერატორმა ვერ წარმოადგინა სასმელი წყლის ხარისხის დამადასტურებელი გამოცდის ოქმი.

**„თაღლაურა“ (მტკვრის მარჯვენა სანაპიროსთან ვახუშტის ხიდის მიმდებარედ)** – რესტორანში ზედა სამზარეულოში არის არ საჭირო სიღრმის ხორცისა და თევზის გასარეცხი ჩანი, სამწვადეში და გამწოვ ძაბრებში ხდება ჭუჭყის დაგროვება, ხელსაბანები არ არის აღჭურვილი შესაბამისი ჰიგიენური საშუალებებით, საწარმოში არ არის უზრუნველყოფილი სათანადო სისუფთავე ყველა უბანზე.

**რესტორანი „ტეხას ჩიქენი“ (კოსტავას 77)** – შესასვლელი, საიდანაც ხდება ნედლეულის შემოტანა, არ არის მოწყობილი ისე, რომ გამოირიცხოს სურსათის რაიმე სახით დაბინძურება, შესაფუთი მასალა, რომელიც უშუალო შეხებაშია სურსათთან, არ ინახება განცალკევებულად.

შპს „კოლხეთის“ სახინკლე-რესტორანი (მტკვრის მარცხენა სანაპირო) – ხორცის დასამუშავებელ განყოფილებაში ონკანი არ არის აღჭურვილი ცხელი წყლით, სახინკლის ხორცის დასამუშავებელ და ბლინების დასამზადებელ განყოფილებებში, ასევე სახინკლისა და რესტორნის კამერა-მაცივრების იატაკი ნაწილობრივ დაზიანებულია, რაც არ იძლევა მისი სრულყოფილად გაწმენდისა და დეზინფიცირების საშუალებას. ფქვილი ტომრით განთავსებულია იატაკზე. მაცივარში არაერთგვაროვანი პროდუქცია არ არის განცალკევებული (ხორცი და თევზი).

**რესტორანი „პურის სახლი“ (გორგასლის ქ. №7)** სამზარეულოს შესასვლელებში არ არის მოწყობილი დეზობარიერები, დაზიანებულია იატაკი, არ იძლევა რეცხვა-დეზინფიცირების საშუალებას, ინვენტარის სამრეცხაოში არ არის საკმარისი თაროები გარეცხილი ჭურჭლის მოსათავსებლად.

**რესტორანი „შემოიხედე გენაცვალე“ (მარჯანიშვილის ქ. №5)** – დამხმარე სათავსო არ არის დაცული მღრღნელებისა და ცხოველებისგან, კამერა-მაცივარი და ხორცის შესანახი ჭურჭელი არ არის სუფთა მდგომარეობაში და საჭიროებს დეზინფიცირებას. ბიზნესოპერატორმა ვერ წარმოადგინა სურსათის საწარმოებლად გამოსაყენებელი სასმელი წყლის ხარისხის დამადასტურებელი გამოცდის ოქმი. (ნიუპოსტი)



## ნიგვზის ფასი საახალწლოდ რეკორდულ ნიშნულამდე აიწევს

ნიგვზის ფასმა ძალიან მოიმატა და დღესდღეობით მაქსიმუმზეა ასული. ბაზარში 1 კილოგრამი ნიგვზის ღირებულება 30-35 ლარია, ნაკლებად ხარისხიანი ნიგვზის შეძენა კი 23-25 ლარად არის შესაძლებელი.

გარდა იმისა, რომ ნიგოზი ძალიან გაძვირდა, არის მეორე პრობლემაც, გაჩნდა დეფიციტი და ბაზარზე უმეტესად ძველი ან იმპორტირებული ნიგოზია გამოტანილი.

პროდუქციის გაძვირება მწირი მოსავლის მიღებამ განაპირობა. ვარაუდობენ, რომ საახალწლოდ ნიგვზის ფასი 40 ლარს გადააჭარბებს. გაძვირებამ რეალიზაციაზეც იქონია გავლენა და ის მინიმუმამდეა შემცირებული. (ნიუპოსტი)

## ეროვნულმა ბანკმა ლარის ახალი კურსი დაადგინა



ეროვნულმა ბანკმა დოლართან მიმართებაში ლარის ახალი გაცვლითი კურსი დაადგინა. სებ-ის ინფორმაციით, 10 დეკემბერს 1 დოლარის შეძენა 1.92 ლარად იქნება შესაძლებელი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ჯერ კეზერაშვილისა და კოდუას სქემები გამოიძიონ და მერე ისაუბრონ“

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, გივი თარგამაძის განცხადებით, საქართველოს სავაჭრო პალატის ვიცე-პრეზიდენტი „ეფესბე“-ს აგენტი, ლეონარდო დევდარიანია, რომელსაც ირაკლი ღარიბაშვილი მფარველობს.

თარგამაძის ინფორმაციით, ღარიბაშვილის შს მინისტრობის პერიოდში სამინისტროს ადმინისტრაციას ხელმძღვანელობდა ლეონარდო დევდარიანის ძმისშვილი, ბესიკ დევდარიანი. მისი განცხადებით, დევდარიანები საქართველოში ყველა ტენდერს იგებენ და შემდეგ აკოტრებენ ბიზნესმენებს. „მათ მფარველობას ირაკლი ღარიბაშვილი და თამაზ თამაზაშვილი უწევენ, რომელიც ერთ-ერთ დევდარიანს თავადაც იცნობს. თამაზაშვილთან ერთად სასჯელს საპყრობილეში ლეონარდო დევდარიანის ნათესავი იხდიდა“, – აცხადებს თარგამაძე. დეპუტატის თქმით, მას ამის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც აქვს მოპოვებული.



თარგამაძეს ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ უპასუხა: „ეს არის ბოდვა და თუ ვინმეს რამე დოკუმენტები აქვს, მიმართოს პროკურატურას... ეს არის სისულელე, მოდით, იმაზე ვისაუბროთ, როგორ ჩასვეს თამაზაშვილი ციხეში, როგორ ჩაუდეს იარაღი, როგორ შეთითხნეს საქმე მის წინააღმდეგ, ჯერ თავისი სქემები დადონ, კეზერაშვილის, კოდუების სქემები გაშიფრონ და მერე ისაუბრონ“. – განაცხადა კობახიძემ. (ნიუპოსტი)



## მოსკოვში ქართველი, აფხაზი და 3 სომეხი დააკავეს

მოსკოვში სამართალდამცველებმა ბანკომატების მძარცველთა ჯგუფი დააკავეს. დაკავების ოპერაცია ერთ-ერთი ბანკში ჩატარდა, საიდანაც ბოროტმოქმედები 3 მილიონი რუბლის გატანას ცდილობდნენ.

როგორც აღმოჩნდა, აღნიშნული ჯგუფის შემადგენლობაში რუსი, ქართველი, აფხაზი და 3 სომეხი შედიოდა. (ფრონტნიუსი)

## მამაკაცი, რომელსაც მანქანამ დაარტყა, საავადმყოფოს მიმღებში 2-საათიანი დაკითხვის შემდეგ გარდაიცვალა

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავებული ზაზა გაბინაშვილი რამდენიმე საათში გარდაიცვალა. ოჯახის ინფორმაციით, ლუდუშაურის კლინიკაში მიყვანილ პაციენტს გამომძიებლები 2 საათის განმავლობაში მიმღებში კითხავდნენ. ოჯახი ექიმებს დაუდევრობაში ადანაშაულებს და სრულფასოვანი გამოძიების ჩატარებას ითხოვს. ოჯახის წევრთა ინფორმაციით, დაკითხვის შემდეგ ექიმებმა მამაკაცის დახმარება ველარ შეძლეს და გარდაიცვალა.




დაკითხვის ფაქტს ლუდუშაურის საავადმყოფოში უარყოფენ. მათი განცხადებით, 40 წლის მამაკაცი კლინიკაში მძიმე ტრავმებით შეიყვანეს და მისი გადარჩენა ველარ მოხერხდა.

კლინიკის გარდა, გარდაცვლილის ოჯახის წევრები პრეტენზიას მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებითაც გამოთქვამენ. მათი განცხადებით, მძღოლი, რომელმაც ფეხით მოსიარულე ზაზა გაბინაშვილი გაიტანა, არათუ დაკავებული არ არის, არც მისი ვინაობაა დადგენილი. (ფრონტნიუსი)

## სუბარის თანამშრომლები და შპს-ს დირექტორები პასუხისგებაში მისცეს



ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, სახელმწიფო ქონების მოტყუებით მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა შპს „NBG“-ის დირექტორები ნუგზარ ენდელაძე და ალექსანდრე ხურციძე, ასევე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს ყოფილი უფროსი თეიმურაზ მაღალდაძე, ამავე სამმართველოს ყოფილი მთავარი სპეციალისტი რატი სვანიძე და საფინანსო დეპარტამენტის ყოფილი უფროსი, ამირან გოგიძე.

საგამოძიებო უწყების ცნობით, დადგენილია, რომ შპს „NBG“-ს ხელმძღვანელები, ლტოლვილთათვის ორი ხუთსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის პროცესში, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხის ნაწილს – 1 081 611 ლარს.

გარდა ამისა, სამინისტროს ყოფილმა თანამშრომლებმა ბოროტად გამოიყენეს სამსახურებრივი უფლებამოსილება, არ შეამოწმეს სამშენებლო სამუშაოები და ყალბი აქტები დაადასტურეს ხელმოწერით.

ამასთანავე, ლტოლვილთა სამინისტროს საფინანსო დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა გამოიჩინა სამსახურებრივი გულგრილობა და სამინისტროს სასარგებლოდ არ მოითხოვა ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია – 211 200 ლარი, რითაც სამინისტროს მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. (ფრონტნიუსი)

ელიტური კორუფციის აღმოფხვრის მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ დამოუკიდებელი ანტიკორუფციული უწყების შექმნის ინიციატივით გამოდის.

რატომ გახდა საჭირო დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახურის შექმნა, როცა არსებობს შსს და პროკურატურა? რა ფუნქციები ექნება და ვისთან იქნება ანგარიშვალდებული?

„ალიას“ ორგანიზაციის წარმომადგენელი, ერეკლე ურუშაძე ესაუბრა:




# შსს-ს და პროკურატურის პარალელურად დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახური იქმნება?

**— ბატონო ერეკლე, როცა არსებობს პროკურატურა, შსს და ფინანსური პოლიცია, ახალი უწყების შექმნას რატომ თვლით საჭიროდ. თანაც ამ რგოლს დამატებითი ხარჯები არ დასჭირდება?**

– გარკვეულ დამატებით ხარჯებს, რა თქმა უნდა, გამოიწვევს, მაგრამ განსაკუთრებით დიდი ბიუჯეტი ამ სააგენტოს არ დასჭირდება. ჩვენ გვაქვს სამართალდამცავი უწყებები, მაგრამ კორუფციასთან ბრძოლა არ არის მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების საქმე, რადგან ეს რამდენიმე ელემენტს მოიცავს. ერთ-ერთი არის სამართლებრივი დევნა, ასევე კორუფციის პრევენცია, რაც გულისხმობს ისეთი საკანონმდებლო ინიციატივების პრაქტიკაში დამკვიდრებას, რომელიც ხელს უშლის კორუფციის წარმოქმნას საჯარო სამსახურში. ანუ მხოლოდ სამართლებრივი დევნა და გამოძიება არ არის კორუფციასთან ბრძოლა. სახელმწიფო უწყებების გარდა, საჭიროა ანალიტიკური უწყება, რომელიც დაკავებული იქნება საჯარო სამსახურში მიმდინარე პროცესებით, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს მსგავს ქვეყნებში ხშირად პრობლემურია სამართალდამცავი უწყებები, მათი დამოუკიდებლობა ეჭვქვეშ დგას ხოლმე. ამიტომ, მნიშვნელოვანია ცალკე დამოუკიდებელი უწყების ჩამოყალიბება, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგება, ისარგებლებს მაღალი ხარისხის ნდობით და მოამზადებს დასკვნებს.

**— ანუ, არ ენდობით სახელმწიფო უწყებებს?**

– სააგენტოს, რომელსაც ვთავაზობთ, არ ვანიჭებთ სისხლის სამართლებრივი დევნის უფლებამოსილებას. ამ უფლებას ვუტოვებთ შსს-სა და პროკურატურას. ეს იქნება გარკვეულწილად სახალხო დამცველის მსგავსი სააგენტო, იქნება მიუკერძოებელი და მისი ხელმძღვანელი დაინიშნება მსგავსი პროცედურით, როგორც ომბუდსმენი, გენერალური აუდიტორი, ანუ პარლამენტის მეშვეობით. მათ ექნებათ გარანტიები დამოუკიდებლობის, ჩაატარებენ მოკვლევას, გადასცემენ მასალებს პროკურატურას და შსს-ს, რომელსაც ექნება გამოძიების უფლება. სააგენტოს ექნება შემოწმების, კონკრეტული საქმეების შესწავლის უფლება, როგორც ამას აკეთებს სახალხო დამცველი. თუ არსებობს ეჭვი, რომ რომელიმე მინისტრის, მისი მოადგილის ან პარლამენტის წევრის შემთხვევაში არსებობს ინტერესთა კონფლიქტი, ასეთ შემთხვევაში თავისი ინიციატივით, სააგენტო შეამოწმებს, შეისწავლის საკითხს და გამოაქვეყნებს დასკვნას.

**— დაინტერესების მოტივაცია რა იქნება, მაგალითად, პრესაში გამოქვეყნებული მასალა?**

– თუნდაც, რიგითი მოქალაქის მიერ შეტანილი განცხადება. გამოიკვეთება, არის თუ არა ინტერესთა კონფლიქტი, ან კორუფციის მომენტი. თუ ეს სააგენტო აღმოაჩენს კორუფციის ნიშნებს, მასალები გადაეგზავნება სახელმწიფო უწყებებს გამოძიებისთვის. ეს სააგენტო დაკავებული იქნება სისტემური ანალიზით, რა მდგომარეობაა უწყებებში რისკების თვალსაზრისით, სად უნდა დაიხვეწოს კანონი, ანუ ერთგვარი ანალიტიკური ცენტრი იქნება.

**— მაგას ბევრი ხალხი დასჭირდება. რამდენ თანამშრომელს მოიაზრებთ?**

– ამისთვის შეიძლება, მაგალითად, სახალხო დამცველის აპარატიც ავიღოთ, რომელსაც 90-კაციანი შტატი ჰყავს. აქვს 2.5-მილიონიანი ბიუჯეტი, შეიძლება იყოს ამაზე მცირეც.

**— რომელიმე ქვეყნის მაგალითზე გინდათ ამ სააგენტოს შექმნა?**

– ჩვენ ავიღეთ სხვა ქვეყნების გამოცდილება, ესენია პოლონეთი, სლოვენია, ლიტვა და ლატვია. პოსტ-კომუნისტური ქვეყნები არიან, მაგრამ დიდი გამოცდილება აქვთ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა. შეჯერებული მოდელი გავაკეთეთ.

**— ვინ უნდა შეარჩიოს ხელმძღვანელი?**

– ჩვენ გვაქვს ასეთი მოდელი: დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისთვის გვინდა ღია კონკურსი, კომისიაში უნდა იყვნენ წარმოდგენილნი მთავრობა, პარლამენტი, სასამართლო ხელმძღვანელობა და არასამთავრობო ინსტიტუტები. შემდეგ კომისია შეარჩევს კანდიდატს და დაამტკიცებს პარლამენტი.

**— გათვლილი გაქვთ, რა დაჯდება მისი შენახვა?**

– არა ჯერ. ეს არის იდეის დონეზე, თუკი ხელისუფლება დაინტერესდება, კონკრეტულად შეგვიძლია ყველაფრის დათვლა.

**— ხელმძღვანელი ვის წინაშე უნდა იყოს ანგარიშვალდებული?**

– პარლამენტის წინაშე, ანუ ყოველწლიურად უნდა წარუდგინოს ანგარიში მათ, მათ შორის შემოწმების აქტები, ყველა მასალა უნდა იყოს საჯარო.

**— კონკრეტულად რა საქმეებით დაინტერესდება სააგენტო?**

– ჩვენ გვაქვს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ“, აქ არის მთელი რიგი ნორმები, რომლის დაცვაც ევალებათ უწყებებს, მაგრამ არ არსებობს ნორმების შესრულების მონიტორინგი. ეს არ შეიძება იყოს პოლიციის საქმე. ეს კანონი კარგია, მაგრამ ეფექტურად არ მოქმედებს. ეს ხარვეზი გვინდა ამოვავსოთ.

**— სტრუქტურა უკვე მოფიქრებული გაქვთ?**

– ეს დადგინდება დებულებით, ჯერ დავაყენეთ მისი შექმნის აუცილებლობა და თუ შეიქმნება, დებულებით გავწერთ ყველა დეტალს, მათ შორის, ხელფასებსაც. მთავარია, იყოს ხელისუფლების ნება. სხვადასხვა შტატისა და პროფილის სპეციალისტები დასჭირდება ამ სააგენტოს.

**— პარლამენტთან თუ გქონდათ წინასწარი საუბრები, რას ამბობენ?**

– ჯერ გავაჟღერეთ მხოლოდ, საქმის კურსშია პარლამენტის რამდენიმე წევრი. აქამდე ორგანიზაციის შიგნით ვმუშაობდით და ახლა დაველოდებით პარლამენტის პოზიციას, იქნება შეხვედრები.

ჟანა ასანიძე
568 00 14 14

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ცვლილებები ფინანსთა სამინისტროსა და მთავრობაში არ იგეგმება“



საქართველოს ფინანსთა მინისტრი შემოსავლების სამსახურის უფროსის წასვლასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ ირაკლი გვარამაძე ეფექტურად მართავდა საგადასახადო სისტემას, მაგრამ სამუშაოს სირთულემ გადააწყვეტინა მას თანამდებობა დაეტოვებინა.

მინისტრის თქმით, ფინანსთა სამინისტროს სისტემაში სხვა საკადრო ცვლილებები არ განხორციელდება და არც მთავრობაში იგეგმება რაიმე სახის ცვლილება, რადგან გუნდი კარგად მუშაობს.

„შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელმა მოგვმართა თხოვნით გადადგომის თაობაზე. ძალიან რთული სამუშაოა, მოგეხსენებათ, და ჩვენ დავაკმაყოფილეთ ირაკლი გვარამაძის თხოვნა. მადლობა გადავუხადეთ მას გაწეული სამუშაოსთვის და გეტყვით, რომ ერთ-ერთ სწორედ ირაკლის დამსახურებაა, რომ საგადასახადო შემოსავლები წელს გადაჭარბებით შესრულდა“, – განაცხადა ხადურმა. (ნიუპოსტი)

## როდის გამოაცხადებს ინტერპოლი მიხეილ სააკაშვილზე ძებნას?



მთავარი პროკურორის მოადგილის ირაკლი შოთაძის თქმით, ინტერპოლს მიხეილ სააკაშვილზე ძებნა ამ დრომდე არ გამოუცხადებია.

„პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა ინტერპოლს, ველოდებით გადაწყვეტილებას. ამ ეტაპზე ინტერპოლს შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებული არ აქვს“, – განაცხადა შოთაძემ.

მიხეილ სააკაშვილს ბრალი ხუთ საქმეზე აქვს წარდგენილი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## რუსეთმა „ყაზბეგის“ საბაჟოზე ტვირთების გატარება შეაფერხა



საბაჟო-გამშვებ პუნქტზე „ყაზბეგი“ ტვირთების გატარება შეფერხებით მიმდინარეობს. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის განმარტებით, შეფერხების მიზეზი რუსეთის ფედერაციის მხრიდან წარმოქმნილი პრობლემაა, რის შედეგადაც ნეიტრალურ ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით ავტომანქანამ მოიყარა თავი.

შესაბამისად, საქართველოს მხარე ტვირთების გატარების ჩვეულებრივ რეჟიმს დაუბრუნდება მას შემდეგ, რაც ნეიტრალური ტერიტორიიდან ავტომანქანების გასვლა გახდება შესაძლებელი. (ნიუპოსტი)



## „პრემიერს ბიძინა ივანიშვილმა დასაყრდენი ძალა გამოაცალა“

„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი მაია ფანჯიკიძე მთავრობის ადმინისტრაციაში განხორციელებული საკადრო ცვლილებების შემდეგ, მთავრობის უფრო მაღალი თანამდებობის პირების გადადგომას არ გამორიცხავს.

მისი თქმით, საჯარო სამსახურიდან გაურკვეველი მიზეზებით თანამდებობიდან წასვლა სახელისუფლებო კრიზისის ნიშანია.

„ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა შესაძლოა, უფრო მეტი ცვლილება გამოიწვიოს მთავრობაში. არის ექსპერტების მოსაზრებები, რომ შესაძლოა ამ კრიზისმა პრემიერის გადადგომაც გამოიწვიოს. არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. შვიდი თუ რვა მაღალი თანამდებობის პირმა დატოვა სამსახური ერთ კვირაში. არც ერთი არაა მინისტრი, თუმცა მათ მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავათ. ისინი ღარიბაშვილის ძირითადი დასაყრდენი ძალა იყვნენ. პრემიერს ეს ძალა გამოაცალეს. ამის უკან ბიძინა ივანიშვილი დგას. ჩემი აზრით, ეს ცვლილებები ნათესაურ-კლანური ჯაჭვის წინააღმდეგ ქმედებებმა გამოიწვია“, – განაცხადა ფანჯიკიძემ. (ნიუპოსტი)

## „ნანუკა ჟორჟოლიანი ქაჯობით მაია ასათიანს უსწრებს“



– ნანუკა ჟორჟოლიანი, არამხოლოდ უტაქტობით, ბევრი სხვა ქაჯობით მაია ასათიანს უსწრებს უკვე, – წერს „ფეისბუკის“ პირად გვერდზე გია ნოდიას ცოლი ლოლა ლომიძე და „ნიჭიერის“ ჟიურის წევრს „განიკითხავს“. ლოლა ლომიძის სტატუსს, „ფეისბუკელ“ მეგობართა კითხვები, პოლიტიკოსის ცოლის ახსნა-განმარტებები და სჯა-ბაასი მოჰყვა.

**Tea Mikaia:** რა ქნა? არ ვუყურებ.

**Lola Pictish Lomidze:** უკრაინელი ძალოსანი გამოვიდა, მანამდე ვიდეორგოლში მოყვა, – საქართველოში ჩამოვედიო, მეგობრები შევიძინეო, ვვარჯიშობო, აქ ვაპირებ ცხოვრების გაგრძელებას, ცოლშვილი უნდა ჩამოვიყვანოო. და ამან კიდე აქ უკვე გააკეთე გასაკეთებელი, ახლა წადი შენს ქვეყანაშიო.

**Tea Mikaia:** მოკლედ, რა.

**Lola Pictish Lomidze:** იამ შეახსენა მერე, ცოლ-შვილი ჩამოჰყავს და აქ აპირებს ცხოვრებასო, ამან მაინც არაო, წავიდესო :))

თავის სამშობლოს უფრო სჭირდება ძლიერი ბიჭებიო, მერე სცადა გამოსწორება, მაგრამ უკვე გვიან იყო.

**Ani Tsitlidze:** მართალიც უთხრა ისე, უკრაინას უფრო სჭირდება ეხლა თავისი მოქალაქეები, მაგ ძალის პატრონი წავიდეს და იქ იომოს.

**Lola Pictish Lomidze:** წავიდეს და იჭიდაოს ომში?.. მეორეც ერთი, არავის გადასაწყვეტი არ არის, ვინ სად წავა და რას გააკეთებს, მით უმეტეს ნანუკასი.

**Dea Gventsadze-Kvizhinadze:** უტვინოა ეგ გოგო.

**Ani Tsitlidze:** გადასაწყვეტი არავისი რომ არაა, გეთანხმები, მაგრამ მე მის ადგილზე შემრცხვებოდა მაგ ძალის პატრონი სალ-სალამათ ჯანმრთელი, როცა ქართველები აქედან მიდიან უკრაინაში საბრძოლველად, იქიდან აქეთ გამოიქცეს. ამიტომ მეც იგივე რეაქცია მქონდა, რომ ვნახე და იმედია, არ ჩამქოლავთ:)

**Lasha Zhvania:** ასათიანს რამდენად უსწრებს არ ვიცი, მაგრამ ქაჯი რომ არის, ეგ უდავოა.

მარი ახალაია: მაგ ძალის პატრონი სამშობლოს უფრო გამოადგება! რა შუაშია ჩავიდეს და იჭიდაოს? სხვა სარგებლის მოტანა არ შეუძლია?

**Lola Pictish Lomidze:** არავის არ ვქოლავ ომი ყველას არ შეუძლია. არც იდეისთვის ბოლომდე დგომა შეუძლია ბევრს, ზოგი ომს გაურბის, ზოგი ახალ ხელისუფლებას. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მასპინძელი ქვეყნის მოქალაქეებმა ცხოვრება გადაუწყვიტონ, ჭკუა ასწავლონ საქვეყნოდ და სახლში გაუშვან.

ადამიანებო, ეგებ სხვების ცხოვრების გადაწყვეტას შეეშვათ და საკუთარს მიხედოთ. მე იმ ძალოსანზე არ მაქვს საუბარი, ის რატომ არ ომობს და რატომ „გამოიქცა“, ეს სხვა საკითხია, მაგაზე არ ვსაუბრობ, ნანუკას საქციელზე ვსაუბრობ მე!

***newposts.ge***

## „მაგარი ბანძია ეს თქვენი ლეფსი, და თქვენ, ვინც კონცერტზე სიამოვნებით მიათრიეთ ტრბი, ასევე მაგარი ბანძები ხართ“ — მაია დარსმელიძე



ორი დღის წინ სპორტის სასახლეში სოჭში დაბადებული რუსი მომღერლის, გრიგორი ლეპსის, იგივე გრიგორი ლეფსვერიძის კონცერტი გაიმართა. კონცერტს ინციდენტების გარეშე არ ჩაუვლია. მოქალაქეთა ნაწილმა კონცერტი დაწყებამდე „სირცხვილის კორიდორით“ გააპროტესტა. თემას სოციალურ ქსელში ეხმაურება მომღერალი მაია დარსმელიძე.

– მაგარი ბანძია ეს თქვენი ლეფსი, და თქვენ, ვინც კონცერტზე სიამოვნებით მიათრიეთ ტრაკები, ასევე მაგარი ბანძები ხართ.



დღესაც რომ არ მენახა ნიუსფიდში გაკვირვებული „მსმენელის“ პოსტები, აღარც შევიმჩნევდი ამ საზიზღარ თემას...

მაცოფებს ეს სავოკისა და რუსული ესტრადის მუსიკაზე მიერთებული „მელომანები“, რომლებსაც, როგორც ჩანს, ნორმალური მუსიკა არასოდეს მოუსმენიათ და „გულიან ხრინწებზე“ სიამოვნებისგან ძაღლდებიან...

ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც ეს ბრბო იმსახურებს, მაგრამ ჩვენ, ვინც ასე არ ვფიქრობთ და ვაზროვნებთ, რა დავაშავეთ? ჩვენ რა ვქნათ, ჩვეეეეენ?? – წერს დარსმელიძე.

***ambebi.ge***

## „ბუბა კიკაბიძეს რაც უკადრებია ცხოვრებაში, ფერმის ღორი არ იკადრებდა“



საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟი ცოტნე გამსახურდია გრეგორი ლეპსის კონცერტს სოციალურ ქსელში ეხმაურება.

– ატყდა ახლა მთელი ამბავი აქ ლეფსის კონცერტზე. ვიცნობდი ოდესლაც. სხვათა შორის, ცუდი ადამიანი არ იყო ყოფითში... მისი ზოგი სიმღერაც ძალიან მომწონდა, ნიჭიერი კაცია. ის რუსია, შეიძლება ითქვას. და მორჩა. ქართველობას ნუ სთხოვთ. დროა, დაანებოთ თავი ამ სისხლისმიერ, ფაშისტურ თეორიებს: ნაციონალურ კუთვნილებას განსაზღვრავს მენტალობა და შემდეგ – ყველაფერი დანარჩენი! მე საერთოდ წინააღმდეგი ვარ ხელოვნების პოლიტიზაციის და მისი მუსიკალური ნიჭი ვიღაცას მოსწონს, ვიღაცას – არა. ეს გემოვნების ამბავია და არა პოლიტორიენტაციის! რა გჭირთ, ხალხო? ამის გამო იქ მიმსვლელების დემონიზაცია ისეთივე სისულელეა, როგორც ის, რომ ხატია ბუნიათაშვილის დაკრულს არ მოვუსმინო იმიტომ, რომ მიშისტკა იყო, განსაკუთრებით საოცარია ეს ყველაფერი იმ ფონზე, როცა თითქმის სრულიად საქართველო ლამისაა თურქულად აჟღურტულდეს ამ სერიალებზე და თურქების „დიდებულ საუკუნეს“, რომელიც რეალურად ჩვენს ამოწყვეტა-მიწასთან გასწორებას ნიშნავდა, დითირამბებს უმღერენ! ეს ორმაგი სტანდარტი ხომ თეთრი ძაფითაა შეკერილი???

**P.S.** პირად დამოკიდებულებაზე თუ ვილაპარაკებთ, მაგალითად მე, ბუბა კიკაბიძის ზოგ სიმღერასაც სიამოვნებით ვისმენ, მიუხედავად იმისა, რომ ვიცი: რაც მას უკადრებია ცხოვრებაში, ფერმის ღორი არ იკადრებდა... – წერს გამსახურდია.

***daijesti.pia.ge***

## ერეკლე დეისაძე: „რა გჭირთ თქვეჩემა, ახლა გაიგეთ, მე და ანთიმოზი რო ვმეგობრობთ?“



სკანდალური ქართველი მწერალი ერეკლე დეისაძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ერთ-ერთი გვერდის მიერ გავრცელებულ ფოტოს აქვეყნებს, სადაც მამა ანთიმოზთან, მიშა მესხთან და გუკა რჩეულიშვილთან ერთადაა.

– რა გჭირთ თქვეჩემა, ახლა გაიგეთ, მე და ანთიმოზი რო ვმეგობრობთ? რა ხდება რა წუწუნია? – წერს დეისაძე.

ცოტა ხნის წინ სოციალური ქსელის საკუთარ გვერდზე ერეკლე დეისაძეს მიუძღვნა თავისი პოსტი მამა ანთიმოზმა:

– ვის გინდათ, ერეკლე დეისაძე ჯოჯოხეთში მოხვდეს? ხელი აწიეთ. მე არ მინდა. მაქვს უფლება, არ მინდოდეს? ერთხელ და სამუდამოდ მოვიშოროთ ქართველებმა სიძულვილის ენა, ერთმანეთის განკითხვა, ლანძღვა-გინება და სიყვარულის ენაზე გადავიდეთ. იქნებ რამე გვეშველოს. არქიმანდრიტი ანთიმოზი (ივერიელი), – წერს სასულიერო პირი.

***daijesti.pia.ge***

## მარიტა როხვაძე სკანდალურ ნომერზე განმარტებას აკეთებს — „ხალხის აგრესიის გამოწვევა ნამდვილად არ მინდოდა...“



მარიტა როხვაძის დაკლებული კილოგრამები შესამჩნევი განსაკუთრებით „ბრავოს“ ფინალზე გახდა. მაყურებელს საშუალება მიეცა, მარიტას ნომერი კარგი შესრულებითა და თამამი ჩაცმულობით ენახა. თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მომღერლის მოშიშვლებულმა ფეხებმა და თეძოზე დაირას მირტყმამ გააღიზიანა.

– ვისაც ნანახი აქვს მიუზიკლი **NiNE**, ჩემი ჩაცმის სტილი ნამდვილად არ გაუკვირდებოდა. ამ მიუზიკლიდან ვიმღერე სიმღერა „ბი იტალია“. მე განვასახიერე პერსონაჟი, რომელსაც ასრულებს ფერგი. თქვენ ფერგის ჩაცმულობა რომ ნახოთ, ჩემი სიშიშვლე ნამდვილად არ გაგაოცებთ. „ბრავო“ არ არის მხოლოდ მომღერლების კონკურსი. ეს არის შოუ და საჭიროა გარკვეული პერფორმანსი. გრძელი კაბა ამ ნომერს არ მოუხდებოდა. ამ პროექტში იმიტომ მივიღე მონაწილეობა, რომ ხალხისთვის ახალი მარიტა გამეცნო, მინდა გაიგონ და დაინახონ, რა შემიძლია დღეს. თუ აქამდე მხოლოდ მიკროფონთან დგომა და სიმღერა შემეძლო, დღეს შემიძლია დავდგა შოუ, ვიყო შოუვუმენი. ხალხის აგრესიის გამოწვევა ნამდვილად არ მინდოდა. დარწმუნებული ვარ, რომელიმე უცხოელი მომღერალი რომ ენახათ ამ ნომრით, ტაშს დაუკრავდნენ და მოიწონებდნენ კიდეც. რატომ გამოვხატავთ აგრესიას ქართველებზე, არ მესმის.

მინდა ვუთხა ყველას, პოზიტიურად შეხედეთ ამ ნომერს, ხელოვნების კუთხით. შეიძლება იდეალური ფორმები არ მაქვს, მაგრამ ნომერს მოუხდა ეს ჩაცმულობა. მოსმენისა და ანალიზის უნარი არ გვაქვს.

მადლობას ვუხდი მათ ვინც მგულშემატკივრობდა. ამაყი ვარ, რომ ისეთი ნომერი შევთავაზე მაყურებელს, რაც დასამახსოვრებელი იქნება დიდხანს.

***reitingi.ge***

## ვერიკო ტურაშვილის ქალიშვილი დაბადებას არ ჩქარობს — „ფაქტია, რომ აფერისტია“




ვერიკო ტურაშვილი მეცხრე თვეშია, თუმცა მისი შვილი ჯერ დაბადებას არ ჩქარობს. ვერიკოც აქტიურად მღერის და მეგობრებთან ერთად საღამოებს არ აკლდება. მომღერლის თქმით, ახალ წელს ბევრი საქმე აქვს და ეჩქარება შვილის გაჩენა. ბევრი სარბენი მაქვს, ეს კიდევ ზის და არ იბადებაო.

მომღერალს მეშვიდე თვემდე ეგონა, რომ ბიჭს ელოდებოდა. თუმცა ერთი თვის წინ მან „ფეისბუკზე“ დაპოსტა, რომ გოგოა და შოკშია.

ვერიკო ტურაშვილი:

— ბოლო მონაცემებით, გოგონაა. არ ვიცი, ფაქტია, რომ აფერისტია.

***primetimenews.ge***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1. მისი დედაქალაქია რომი
2. საჩინოსა და გოგიტას სოფელი (მხ/ფ.)
3. ნახ. კუნძული შავ ზღვაში
4. „ისმინე სწავლის მძებნელო, მოჰყევ დავითის მცნებასა" (ავტორი პოეტი)
5. ავტომრბოლელი მიხაელ ...
6. ანდაზა: ... გვარზე ხტის
7. გაფუჭებული ღვინო
8. წყალში ყვინთვა
9. კურო, ანუ ...
10. მწერალი თეოდორ ...
11. ... ალხანა, ის ჩალხანა
12. მომღერალი ვიქტორ ...
13. ფულის გამცემი აპარატი ქუჩაში
14. ვეტერანი ფეხბურთ. მურთაზ ...
15. განათება, ანუ ...
16. მიმიკის უქონლობა
17. ამერიკელი მწყემსი (ისტ.)
18. შავი წიაღისეული სითხე
19. ქალაქი საბერძნეთში
20. თოფის მილოვანი ნაწილი
21. „კავკასიური ცარცის წრე." მოსამართლე
22. გადასახდელ-ზედიანი ეტლი
23. ლიტვური ფულის ერთეული
24. ტანსაცმლის ეტიკეტი
25. „სუპერმენი". კრისტოფერ ...
26. დოკუმენტების საცავი
27. დამპყრობელი
28. ქალაქი საფრანგეთში
29. რუსი მწერალი მაქსიმ ...
30. გულიანი ნამცხვარი
31. ესპანეთის კინოაკადემიის ჯილდო
32. ბრმა ნაწლავის ანთება
33. მხ/ფ. „... ზღვის მეკობრეები"
34. მსახიობი მერილ ...
35. ლუი დე ფიუნესი ფილმში
36. ასტროფიზიკოსი ... ხარაძე
37. ქართული სადაზღვეო კომპანია
38. ... დე ბალზაკი
39. თოვლის კაცი
40. ლუჩანო პავაროტის ხმა
41. ზუმბა, იგივე ზაზა ...
42. სტრეიზანდი ფილმში „ჰელოუ ..."
43. კომპოზიტორი ... ნემსაძე
44. სომხური გვარის ნაწილი
45. სახლი უკრაინულ სოფელში
46. მთამსვლელი
47. სიცილ. მაფია „...-ნოსტრა"
48. ქვეყანა. გადის არხი
49. ბანკში შეტანილი ფული
50. მეწარმე ... ლაღიძე
51. ამბოხება
52. მხ/ფ. „... და მისი ძმები"
53. სახის ნაწილი
54. იოსებ ჯუღაშვილი
55. მხ/ფ. „101 დალმატინელი". გლენ კლოუზი როლში
56. კომპოზიტორი ვანო ...
57. „ბითლზი". რინგო ...
58. „განძთა კუნძული". ავტორი
59. საცურაო ნაგებობა
60. ნათურის აჟურული საფარი
61. ბრაზილიელი ვეტერანი ფეხბურთ.
62. მეტყევე, ანუ ...
63. მარტოხელა ადამიანი
64. ყურძნის ჯიში
65. ... სუხიშვილი
66. ტელეშოუ „...-ბანკი"
67. ყველაზე პატარა ფრინველი
68. ჟელატინი: ...-აგარი
69. დირიჟორი ჰერბერტ ფონ ...
70. პოეტი ... აბაშიძე
71. კონტინენტი
72. დედამიწის ნულოვანი სარტყელი
73. ღვინო პოეტურად
74. წყლის სიმაღლე
75. ფეხი იქამდე გასწიე, სადამდეც ... გაგწვდება
76. ყანწის ისტორია ფილმში „ქალაქი ..."
77. დიდი ჩლიქოსანი ცხოველი
78. მსახიობი ჯორჯ ...
79. „... გრეის პორტრეტი"
80. თხის ხმიანობა
81. სრული გამარჯვება ძიუდოში
82. ბავშვების ექიმი
83. ...-სებასტიანის ფესტივალი
84. მსახიობი ... დელონი
85. გაზი, ანუ ...
86. მსახიობი მურმან ...
87. ფრანგული ავტომობილი
88. ბზიკი
89. მოკრივე კასიუს ...
90. ნადირობის ქალღმერთი (რომ.მით.)
91. ფეხბურთის მატჩის ნახევარი
92. მეცნიერება ამა თუ იმ ენის აგებულების შესახებ
93. რა ცხოველი იყო შერხანი
94. კანფეტების ლამაზი კოლოფი
95. მომღერალი ... ოსბორნი
96. ღრმული წყნარ ოკეანეში
97. მსახიობი შონ ...
98. ცხვრის ბალანი
99. სხეულის ხელით დამუშავება
100. ჟელატინიანი ტკბილეული
101. ... გიუნტერი
102. წყლის არხი
103. საბჭოთა პოლიცია (ისტ.)
104. სამეჯლისო ცეკვა
105. დათრგუნული მდგომარეობა
106. მხატვარი ედგარ ...
107. ბოსტნეული. ამზადებენ ლოსიონს
108. მაგარი, მტკიცე
109. ცეკვა, ანუ ...
110. მდინარე ციმბირში
111. მდინარე ალაზნის ნეობა
112. მომღერალი ... ძოწენიძე
113. ლუდის დასამზადებელი მასალა
114. მოსეს ძმა (ბიბლ.)
115. იაპონიის დედაქალაქი
116. ნორვეგიის დედაქალაქი
117. სისხლისმსმელი დრაკულა
118. მსახიობი ქეით ...
119. ასპირანტურის სტუდენტი
120. რადიოლოკაციური დანადგარი
121. საქმეში ჩადებული წილი
122. კომიკოსი ... კიტონი
123. მღვდლის თანაშემწე
124. ოდესელი იუმორისტი მიხეილ ...
125. მხ/ფ. „შინდლერის ..."
126. სამანიშვილების სიძე (ნაწარმოებ.)
127. მსახიობი ... ტაილერი
128. ქურციკი
129. პატარა გემი
130. ხელოვნური ნაწნავი
131. ქალაქი რაჭაში
132. ლუთერანული ეკლესია
133. მსახიობი ფილიპ ...
134. სითხე. ამოჰყავთ ყველი
135. ვაჟიშვილი
136. საერთოევროპული ვალუტა
137. მსახიობი ... ჟაკობი
138. მიმართვა ქალისადმი იაპონიაში
139. ახალი ზელანდიის აბორიგენი
140. ... შენცკენ, შენ ემბაკებიცკენ
141. ... დარჩი, ... წადი
142. ქალაქი-გამოქვაბული სამხ. საქართვ.
143. ქალაქი საფრანგეთში
144. თითი, ანუ ...
145. მსახიობი ... ტრეისი
146. ხუმარა მეფის კარზე
147. გამის ნოტი
148. მუზეუმი სანკტ-პეტერბურგ.
149. ამერიკელი მსახიობი ქალი
150. გრძელი, მსხვილი ნემსი





# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. რობინზონ კრუზოს მეგობარი
2. იატაკის საცხი
3. ლურჯი ვეშაპის საკვები
4. მსახიობი ... ჟირარდო
5. მსახიობი ... მარტინი
6. ბალერინა ნინო ...
7. დონ კიხოტის ცხენი
8. დასაძინებელი ნაყენი
9. ათასწლეულის დასასრული
10. მწვანილი
11. იმრე კალმანის ოპერეტა
12. გულუბრყვილო ადამიანი
13. სულების გამოძახება
14. გემის მოძრავი კიბე
15. მსახიობი კეტრინ ...-ჯონსი
16. მხარე საქართველოში
17. მსახიობი ჯემალ ...
18. ხის სოლი
19. უძველესი კოლხეთი
20. ტუჩი
21. თვითმფრინავის ბორბალი
22. ფოთოლი კანადის დროშაზე
23. სახალხო პოეტი მომღერალი
24. ბავშვის აღმზრდელი ძველად
25. გემის კიდე
26. სამედიცინო მალამო
27. მსახ. ... ანჯაფარიძე
28. კომპოზიტორი ნიკოლოზ ...
29. მხატვარი დიეგო ...
30. პოეტი იოსებ ...
31. საველე ჰოსპიტალი
32. წელიწადის დრო
33. მუსლიმანური მარხვა
34. გეომეტრიული ფიგურა
35. კრების ჩანაწერი
36. მწვერვალი კავკასიონზე
37. თმის წითელი საღებავი
38. ყაიმი
39. მსახიობი ... სტრიპი
40. მწერალი ... როდარი
41. ზღაპრული ცხენი
42. სპილენძის დოქი
43. ქალაქი ყირიმზე
44. პირის ღრუს თაღი
45. მსახიობი კრისტიან ...
46. წყლის მოლუსკი
47. ადამიანშემძლე ეტლი
48. ბოსტნის მავნებელი
49. ოჯახის ქალი ძველ რომში
50. ხელის საგრილებელი
51. მსახიობი აკაკი ...
52. რასპე. „... მიუნჰაუზენის თავგადასავალი“
53. მომღერალი ბობ ...
54. ბურთულიანი ...
55. განმუხტვა ღრუბლებში
56. თოვლის კაცი
57. ... კუზანოვი
58. მდინარე გერმანიაში
59. თვალის დაავადება
60. „მეხუთე ელემენტი“ იოვოვიჩი
61. ლეილა აბაშიძე ფილმში
62. ფეთქებადი ნივთიერება
63. რეჟისორი დევიდ ...
64. მსახიობი ... მიურეი
65. ... პუგაჩოვა
66. მხედველობის ორგანო
67. ჰოკეის რეზინის ბურთი
68. პურის დასაბრაწი ხელსაწყო
69. „სიყვარული ყველას უნდა“ ვახტანგ ფანჩულიძის გმირი
70. ლარნაკი
71. პლანეტარული სხეული მზის გარშემო
72. „... დე ბერჟერაკი“
73. სამშენებლო მასალა
74. მდინარე საფრანგეთში
75. მდინარე იტალიაში
76. რომის პაპის რეზიდენცია
77. თბილისის უბანი
78. ცხენბურთი
79. მტაცებელი ფრინველის ფრენა
80. ციტრუსი
81. ფრინველი მარაო კუდით
82. მ/ფ „101 ...“
83. საესტრადო მუსიკის ჟანრი
84. რეჟისორი პიერ პაოლო ...
85. მსახ. ... ფრეინდლიხი
86. საკანი
87. მსახიობი ბენისიო დელ ...
88. მსახიობი ... მიფუნე
89. ცისარტყელას ქალღმერთი
90. „კაცი, რომელიც იცინის“ პერსონაჟი
91. სამეჯლისო ცეკვა
92. ყანწის მასალა
93. რეზინის ფეხსაცმელი
94. ქალაქი საფრანგეთში
95. ...-დე-ჟანეირო
96. ბულგაკოვი. „... და მარგარიტა“
97. მომღერალი ვიქტორ ...
98. „... გლახაკთა საჭურჭლე“
99. მდინარე აფრიკაში
100. ექსკურსიამძღოლი
101. მსახიობი ... ჰოფმანი
102. დრამატურგი ჰენრიკ ...
103. იანის საპირისპირო
104. მსახიობი პენელოპა ...
105. მეორე მსოფლიო ომის დროს ინგლისის პრემიერ მინისტრი
106. ... ხეთაგუროვი
107. უქონრო თუთიყუში
108. ჩილეში: ავგუსტო ...
109. მზესუმზირის ტკბილეული
110. „ნატვრის ხე“ პერსონაჟი
111. მსახიობი ... სხირტლაძე
112. ბრაზილიელი ფეხბურთელი
113. ვენეციური ნავი
114. ტელეარხი „... ბენკი“
115. ღვინის ღმერთი
116. გამოთქმა: განტევების ...
117. ჭურჭელი სამზარეულოში
118. სოფოკლეს ტრაგედია
119. მიწის ფართობის ერთეული
120. ერთგვარი კანფეტი
121. იალქანი
122. ამერიკული კინოაკადემიის ჯილდო
123. ცხიმის კვალი ქსოვილზე
124. თაღი
125. ჩილეს დედაქალაქი
126. გეოდეზიური იარაღი
127. ყვავილი
128. ბედი
129. სოფი ლორენი ფილმში
130. ქალაქი სამეგრელოში
131. „...-ჭამა დიდად შესარგი“
132. მსახ. ჟან-კლოდ ... დამი
133. კათხა
134. სოფელი დუშეთის რაიონში
135. ტალახი
136. მსახიობი ... ჰეჩი
137. მაღალი გამავლობის ავტომობ.
138. მომღერალი პერი ...
139. ... მღაღადებლისა უდაბნოსა შინა
140. ...-ანჯელესი
141. გამის ნოტი
142. ლითონი
143. სამიანი ნარდში
144. რბილი ლითონი
145. „წითელი“ პლანეტა
146. ... ურჩევნია მამულსა

პასუხები: 1. პარასკევა; 2. მასტიკა; 3. პლანქტონი; 4. ანი; 5. სტივ; 6. ანანიაშვილი; 7. როსინანტი; 8. ბანგი; 9. მილენიუმი; 10. კამა; 11. „სილვა“; 12. ალალი; 13. სპირიტიზმი; 14. ტრაპი; 15. ზეტა; 16. სვანეთი; 17. ღალანიძე; 18. პალო; 19. აია; 20. ბაგე; 21. შასი; 22. ნეკერჩხალი; 23. აშუღი; 24. გუვერნანტი; 25. ბორტი; 26. ვაზელინი; 27. ვერიკო; 28. რიმსკი-კორსაკოვი; 29. ველასკესი; 30. ნონეშვილი; 31. ლაზარეთი; 32. ზამთარი; 33. რამაზანი; 34. რომბი; 35. ოქმი; 36. იალბუზი; 37. ინა; 38. ფრე; 39. მერილ; 40. ჯანი; 41. რაში; 42. თუნგი; 43. იალტა; 44. სასა; 45. სლეიტერი; 46. მიდია; 47. რიქშა; 48. მახრა; 49. მატრონა; 50. მარაო; 51. კვანტალიანი; 52. ბარონ; 53. მარლი; 54. კალამი; 55. ელვა; 56. იეტი; 57. ივა; 58. რაინი; 59. გლაუკომა; 60. ლილუ; 61. „აბეზარა“; 62. ნიტროგლიცერინი; 63. ლინჩი; 64. ბილ; 65. ალა; 66. თვალი; 67. შაიბა; 68. ტოსტერი; 69. ბურნუთა; 70. ვაზა; 71. ასტეროიდი; 72. სირანო; 73. არმატურა; 74. რონა; 75. პო; 76. ვატიკანი; 77. რიყე; 78. პოლო; 79. ირაო; 80. მანდარინი; 81. ფარშევანგი; 82. დალმატინელი; 83. როკ-ენ-როლი; 84. პაზოლინი; 85. ალისა; 86. დილეგი; 87. ტორო; 89. ირიდა; 90. დეა; 91. პოლკა; 92. რქა; 93. კალოში; 94. ნანტი; 95. რიო; 96. ოსტატი; 97. ცოი; 98. მიეც; 99. ნილოსი; 100. გიდი; 101. დასტინ; 102. იბსენი; 103. ინი; 104. კრუსი; 105. ჩერჩილი; 106. კოსტა; 107. არა; 108. პინოჩეტი; 109. ჰალვა; 110. დუტა; 112. ტოსტაო; 113. გონდოლა; 114. ენკი; 115. დიონისე; 116. ვაცი; 117. ქვაბი; 118. „ანტიგონე“; 119. არი; 120. ნუგა; 121. აფრა; 122. „ოსკარი“; 123. ლაქა; 124. არკა; 125. სანტიაგო; 126. ნიველირი; 127. ვარდი; 128. სვე; 129. „ჩოჩარა“; 130. აბაშა; 131. სმა; 132. ვან; 133. სირჩა; 134. ბარისახო; 135. ლაფი; 136. ენ; 137. „ვილისი“; 138. კომო; 139. ხმა; 140. ლოს; 141. სი; 142. ნიკელი; 143. სე; 145. მარსი; 146. ის. იკითხება: კოკო შანელი.

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


## სექსს თავის ტკივილის გამოწვევა შეუძლია?



რა სჯობია, როცა თავის ტკივილის, როგორც სექსისთვის ხელის შემშლელი ფაქტორის შესახებ ადამიანი მხოლოდ ანეკდოტებიდან ან სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომიდან იგებს? თუმცა ისიც ხომ ფაქტია, რომ ცხოვრება არანაკლებ უსიამოვნო სიურპრიზებითაც გაგვილაწუნებს ხოლმე სახეში...

ჰოდა, სწორედ ასეთი უსიამოვნო სიურპრიზია თავის ტკივილი, რომელსაც სხვა ყველაფერთან ერთად, შეუძლია ადამიანს ხელი შეუშალოს არა მხოლოდ სექსამდე, არამედ უშუალოდ აქტის დროსაც.



სპეციალისტების თქმით, ასეთი მოვლენა საკმაოდ გავრცელებულია და მას ყურადღება სექსოლოგებმა რატომღაც მხოლოდ გასულ წელს მიაქციეს.

ჯერჯერობით ზუსტად ვერავინ გამოარკვია, რატომ ჩნდება თავის ტკივილი სექსის დროს, თუმცა ის კი დადგინდა, რომ ასეთი პრობლემა უფრო ხშირად მამაკაცებს უჩნდებათ, ვიდრე მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს.

რაკილა სექსზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე კიდევ ერთი კვლევის შედეგებზეც მოგახსენებთ, რომელიც ცოტა არ იყოს, უცნაურად კი გვეჩვენება. კერძოდ, ამერიკელმა სექსოლოგებმა დაადგინეს, რომ საუბარი სექსის შესახებ უშუალოდ აქტის დროს გაცილებით უკეთეს შედეგს იძლევა.

კონტინენტსგაღმელებს თუ დავუჯერებთ, გამოდის, რომ წყვილი თან სექსით უნდა იყოს დაკავებული, თან ერთმანეთთან დიალოგში შევიდეს... ხომ გითხარით, უცნაური დასკვნა აქვთ-თქო ამერიკელებს, თუმცა ვისაც სურვილი გაუჩნდება, სცადოს, რას კარგავს რო?..

*medumed.org*

## სტრესულ მდგომარეობაში, ხმაურის მიმართ ქალი ჰიპერმგრძნობიარე ხდება



განერვიულებულ ქალთან კამათი კი არა, გვერდზე ჯდომაც ძალიან რთულია, თუმცა ზუსტად ასეთია დედათა ბუნება, რაც ბევრი კვლევითაც მტკიცდება.

შვედი მეცნიერების განმარტებით, ყველაზე ხმადაბალ საუბარსაც კი ქალი ძალიან მტკივნეულად აღიქვამს, როცა ის სტრესის გავლენის ქვეშ იმყოფება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობა ნორმალური ან მაღალი ემოციური აღგზნების მქონე 23-დან 71 წლამდე ასაკის 348 ქალმა და მამაკაცმა მიიღო. მოხალისეებს უწევდათ ხელების ჩაყოფა ყინულიან წყალში, ასევე, პუბლიკის წინაშე გამოსვლა, სიმაღლეზე ასვლა და კიდევ სხვა მსგავსი დავალების შესრულება, რომელსაც სტრესის გამოწვევა შეეძლო.

საბოლოო ჯამში, დადგინდა, რომ სტრესის მიღების შემდეგ ქალები ხმაურის მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარენი ხდებოდნენ.

სავარაუდოდ, სწორედ ეს უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ, როცა ქალები განერვიულებულები არიან, მამაკაცის საუბარიც კი ყვირილად ეჩვენებათ. რაც შეეხება ძლიერ სქესს, ამ შემთხვევაში მსგავსი რეაქცია იმდენად იშვიათი აღმოჩნდა, რომ საერთო სტატისტიკა მცირედითაც არ შეიცვალა.

*news.21.by*

## პური ძალებს გვართმევს და ფიქრშიც ხელს გვიშლისო



აუ, ვისაც რა უნდა, ის თქვას, მაგრამ ჩვენ თუ გვკითხავს ვინმე, პურის გარეშე ცხოვრების სურვილი საერთოდ არ გვაქვს და მორჩა!

კონტინენტსგაღმა კი ამბობენ, რომ პურპროდუქტები ძლიერ დაღლილობას იწვევს და ასევე, ადამიანს ფიქრის საშუალებასაც უსპობს.

ამერიკაში ცნობილი კარდიოლოგის, უილიამ დევისის განმარტებით, პაციენტების ჩივილების საფუძველზე ჩატარებული კვლევის შედეგად დაასკვნა, რომ ადამიანს კონცენტრირებაში სწორედ თანამედროვე კვების მრეწველობა უშლის ხელს.

დევისი მიიჩნევს, რომ ყველაფერში დამნაშავე გენმოდიფიცირებული ცილაა, სახელწოდებით გლიადინი, რომელიც თანამედროვე ხორბლის შემადგენლობაში შედის. გლიადინი არა მხოლოდ ამცირებს ყურადღების კონცენტრაციას, არამედ მადასაც აძლიერებს. შედეგად ადამიანი სულ უფრო მეტ საკვებს იღებს, რაც სიმსუქნის პროვოცირებას ახდენს.

– გლიადინი მწარმოებლებისთვის ბედის საჩუქარია, ვინაიდან მოხმარებას და შესაბამისად, შემოსავალს ზრდის, ხოლო ადამიანისთვის ის ნამდვილი პირადი ტრაგედიაა, – ამბობს ამერიკელი კარდიოლოგი.

*medkarta.com*

## გსურთ, ბავშვი ქოთანზე მოსაქმებას მიაჩვიოთ? უნდა... დაუსტვინოთ



ცოტა უცნაურად კი ჟღერს, მით უმეტეს, რომ დაფშტვენილები ისედაც ბევრი გვყავს გარშემო, მაგრამ სწორედ ასეთ რჩევას რომ გვაძლევენ პედიატრები, რა ვქნათ, რა წყალში გადავვარდეთ?

სპეციალისტების მტკიცებით, თუკი მშობელი ბავშვთან ერთად ხშირად დაუსტვენს ხოლმე, ქოთანზე დაჯდომას პატარა უკვე 9 თვის ასაკიდან მიეჩვევა.

ამ უჩვეულო მეთოდის ეფექტურობა ექსპერიმენტის დახმარებით დამტკიცდა, რომელიც ვიეტნამში ჩატარდა. თურმე, ვიეტნამში არსებობს ტრადიცია, რომ, პრაქტიკულად, ბავშვის დაბადებიდანვე დედები უსტვენენ ხოლმე, ოღონდ პირით, რასაკვირველია, და ფსიქოლოგიური აშლილობა აქ არაფერ შუაშია. ამასთანავე, ვიეტნამელი ქალები უსტვენენ მაშინ, როცა ბავშვი ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სურვილის დემონსტრირებას ახდენს.

– შედეგად ბავშვის ტვინში ხდება მჭიდრო კავშირის ფორმირება: „მოშარდვა-სტვენა“, ხოლო 9 თვისა უკვე ბუნებრივი მოთხოვნილების შეკავებას ახერხებს, სანამ ქოთანზე არ დასვამენ, – განმარტავენ პედიატრები.

*meddaily.ru*

## ასპირინი... სიბრმავის მიზეზი?!



სულ ცოტა ხნის წინ ჩატარებული კვლევის შედეგად, ავსტრალიელი მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ისეთი პოპულარული პრეპარატის ხანგრძლივი მიღება, როგორიც ასპირინია, შესაძლოა, მხედველობის სერიოზული გაუარესებით დასრულდეს.

კერძოდ, აღმოჩენილია კავშირი პრეპარატის მიღებასა და თვალის ბადურის ისეთ სერიოზულ დაავადებას შორის, როგორიც მაკულარული დეგენერაციაა და რომელსაც თვალის ჩინის დაკარგვაც კი შეიძლება მოჰყვეს.

ამ დაავადებისკენ უფრო მეტად მიდრეკილები არიან ადამიანები შესაბამისი მემკვიდრეობით, ასევე, მწეველები და ასპირინის მომხმარებლები.

ექიმები მაკულარული დეგენერაციის ორ ტიპს განასხვავებენ – მშრალსა და სველს, რომელთაგან გაცილებით საშიში მეორეა და ასპირინი სწორედ მისი გაჩენის მიზეზი შეიძლება გახდეს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულ კვლევაში, რომელიც 15 წელი გრძელდებოდა, მონაწილეობა 2400-მა ადამიანმა მიიღო. აღმოჩნდა, რომ სველი მაკულარული დეგენერაცია ასპირინის მომხმარებელთა 9,3 პროცენტს გაუჩნდა, ხოლო ვინც ამ პრეპარატს არ იღებდა, დაავადება მხოლოდ 3,7 პროცენტში განვითარდა.

*pronowosti.ru*

## პლასტმასის ჭურჭელი თირკმლებში კენჭების გაჩენასა და კიბოს პროვოცირებასაც ახდენს



ამ საკითხზე ადრეც მოგვიყოლია ხოლმე, ოღონდაც კარგი არაფერი და ალბათ, მომავალშიც ასე გაგრძელდება. ყოველ შემთხვევაში, მორიგი ინფორმაცია პლასტმასის ჭურჭლის შესახებ გულის გასახარებელი ნამდვილად არ არის.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესი მხოლოდ სწორი კვება როდი ყოფილა, ეს არის კიდევ „სწორი ჭურჭელი“.

ტაივანის გაოსიუნის სამედიცინო უნივერსიტეტის სპეციალისტების განმარტებით, მელამინი, რომელიც ერთჯერადი ჭურჭლის დამზადებისთვის გამოიყენება, ცხელ საკვებთან ერთად ადამიანის ორგანიზმში ხვდება. სწორედ ამ ნივთიერებას შეუძლია თირკმლებში კენჭების დაგროვება და უფრო მეტიც, თირკმლის კიბოს გამოწვევა.

გარკვეული პერიოდის წინ სწორედ მელამინი გახდა ჩინეთში 300 ათასამდე ადამიანის მოწამვლის მიზეზი, რომელთაგან ექვსი, სამწუხაროდ, გარდაიცვალა.

*pronowosti.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



თუკი ნახევარი საათის განმავლობაში აბრახუნებთ კარზე, არავინ გიღებთ და შიგნიდან გუგუნის ხმა ისმის, ეს ნიშნავს:

ა) იქ თქვენს გარეშე გუგუნებენ;

ბ) ეს ტრანსფორმატორის ჯიხურია...

*****

– ევროპასა და სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში ცისფერი სპეცსიგნალებიანი მანქანებითა და ესკორტით მხოლოდ მძიმე ავადმყოფები და დამნაშავეები გადაჰყავთ!

– პრინციპში, ჩვენთანაც იგივე ხდება – სპეცსიგნალებითა და ესკორტით აქაც ავადმყოფებსა და დამნაშავეებს აცილებენ!!!

*****

„ძვირფასო რედაქცია! თუ შეიძლება, მიპასუხეთ – თოვლის ბაბუა მართლა არსებობს თუ არა? დედაჩემი ამბობს, არსებობსო, ცოლი კი მაგრად დამცინის...“

*****

ქმარი ცოლს ეუბნება:

– საყვარელო, წარმოიდგინე ასეთი სიტუაცია: სახლში მოდიხარ, მე კი საწოლში სხვა ქალთან ერთად ვწევარ...

– ძვირფასო, ახლა შენ წარმოიდგინე – მოდიხარ სახლში და მე ვწევარ სხვა კაცთან ერთად...

– აბა, ახლა შენ სიტუაციასა და ბოზობას ნუ ურევ ერთმანეთში!!!

*****

ერთ ცნობილ მსახიობსა და ტელეწამყვან ქალს ეკითხებიან:

– თქვენი აზრით, სად იმალება წარმატების საიდუმლო?

– მთავარია, აღმოჩნდე საჭირო დროს საჭირო ადგილით!..

*****



მწვრთნელი დამარცხებული მოკრივის გამხნევებას ცდილობს:

– მესამე რაუნდში შენი მოწინააღმდეგე მაგრად შეაშინე!

– როგორ?

– ეგონა, რომ მოგკლა და...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## გიორგი ბრეგვაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს!

ღმერთმა იმდენ დაბადების დღეს შეგახვედროს სიხარულითა და გამარჯვებით, რამდენი სიკეთეც გაქვს გაკეთებული!!! წმინდა გიორგის მფარველობა არ მოგაკლდეს! იხარე და იბედნიერე!

ალიელები

## ინდოეთი სპილოების ალკოჰოლიზმთან დაკავშირებულ სერიოზულ პრობლემებს განიცდის



ნარკომანია და ალკოჰოლიზმი მხოლოდ ადამიანური პრობლემა როდი ყოფილა? რაც მთავარია, თურმე, მხოლოდ ადამიანებს როდი სჩვევიათ თრობის გამო აყალმაყალის მოწყობა.

გარკვეული პერიოდის წინ ერთ ინდურ სოფელს შვიდი სპილო დაესხა თავს, რომლებიც შემთხვევით ლუდით სავსე კასრებს გადააწყდნენ და გემოზე გამოთვრნენ. შემდეგ ისინი ისე მოიქცნენ, როგორც ნებისმიერი მთვრალი არსება მოიქცეოდა – ყველაფრის ლეწვა დაიწყეს და ელექტროგადამცემ ბოძებსაც მიადგნენ. სამწუხაროდ, ამის გამო სპილოების უკანასკნელი წუთები საშინელი ტანჯვით გაილია. დაფიქსირდა კიდევ ერთი შემთხვევა, როცა მთვრალი სპილოები სხვა სოფელს დაესხნენ თავს და ექვსი ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს.

როგორც ამბობენ, ეს არ არის უბრალოდ უჩვეულო შემთხვევები და სპილოების ალკოჰოლიზმი ინდოეთსა და აფრიკაში უდიდეს პრობლემად გადაიქცა.

– სპილოები ძალიან ჭკვიანი ცხოველები არიან. მათ გაარკვიეს, რომ, სადაც ადამიანები არიან, იქ აუცილებლად ალკოჰოლიც იქნება, – ამბობენ სპეციალისტები.

აი, თქვენ შესანიშნავი მაგალითი იმისა, როგორ აიძულებს განვითარებული ინტელექტი ნებისმიერ ცოცხალ არსებას, სულელური საქციელები ჩაიდინოს.

***mainfun.ru***

## გერმანიაში ციხიდან გაქცევა უკანონობად არ ითვლება



რაღა თქმა უნდა, გერმანიის ციხეებიდან გაქცევის დაგეგმვა და განხორციელება დაშვებული არ არის და ადმინისტრაციისთვისაც უკიდურესად არასასურველია, თუმცა რთული დასაჯერებელი კია, მაგრამ უკანონობად მაინც არ ითვლება.

იმ შემთხვევაში, თუკი პატიმარი გაქცევას მაინც მოახერხებს, მაგრამ სამართალდამცველები მიაგნებენ, ის კვლავ ციხეში დაბრუნდება და დამატებით სასჯელს ან ჯარიმას არავინ დააკისრებს.

როგორც ამბობენ, ხელისუფლების ასეთი შემწყნარებლობა იმ ფაქტს უკავშირდება, რომ გერმანელებისთვის თავისუფლებისკენ სწრაფვა უმთავრესი ადამიანური ინსტინქტია, რომლის წინააღმდეგაც ბრძოლას არავითარი აზრი არ აქვს.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ, თუკი სასჯელი არ უმძიმდება ციხიდან გაქცეულ პატიმარს, აუცილებლად ისჯება ის, ვინც მას გაქცევაში ხელს შეუწყობს. ასეთ შემთხვევაში თავისუფლების 5 წლამდე აღკვეთაა გათვალისწინებული.

***vkurse.info***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**10 დეკემბერი:** შესაძლოა, ცვალებადი განწყობა დაგჩემდეთ. ამიტომ, სასურველია, ეს დღე იმ ადამიანთან ერთად გაატაროთ, ვინც კარგად გიცნობთ და გაგიგებთ.

**კურო 22.04-21.05**
**10 დეკემბერი:** თუკი რამე ემოცია მოგაწვებათ, ყველა მიმდინარე საქმეების მოსამთავრებლად მიმართეთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**10 დეკემბერი:** დღეს შეგაწუხებთ რაღაც მოგონებები, რომლებიც, წესით, დიდი ხანია მეხსიერებიდან უნდა ამოგეგდოთ. მოიცილეთ თავიდან.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**10 დეკემბერი:** გამაღიზიანებელი ადამიანების შიში არ უნდა გქონდეთ. რომც მოახერხოთ თქვენი ყურადღების მიქცევა, განწყობას ვერ გაგიფუჭებენ.

**ლომი 23.07-22.08**
**10 დეკემბერი:** ყველაფრის აღდგენა შეუძლებელია. თქვენი სიმართლის დამტკიცების მცდელობაში ისეთი არაფერი მოიმოქმედოთ, რაც რეპუტაციას შეგილახავთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**10 დეკემბერი:** შეიძლება ეს დღე მოსაწყენად მოგეჩვენოთ. ამიტომ, სანამ წუწუნს დაიწყებდეთ, გაითვალისწინეთ, რომ ყველაფერი შესაძლოა, უარესადაც ყოფილიყო.

**სასწორი 23.09-22.10**
**10 დეკემბერი:** დღეს, როგორც არასოდეს, მიმდინარე მოვლენები უმკაცრესად უნდა აკონტროლოთ. ყურადღებას თუ მოადუნებთ, ყველაფერი აირ-დაირევა.

**მორიელი 23.10-21.11**
**10 დეკემბერი:** შეეცადეთ, ეს დღე დეტალურად დაგეგმოთ. რაც უფრო ადრიანად გააკეთებთ ამას, მით უფრო წარმატებულად გაართმევთ თავს საქმეებს.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**10 დეკემბერი:** დღეს თქვენი პიროვნების მიმართ ინტერესი გაიზრდება. საქმის კეთებას არავინ და ვერავინ გაიძულებთ. აკეთეთ ის, რაც გსურთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**10 დეკემბერი:** საბოლოო მიზანი, რომელიც დაისახეთ, ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი შემაფერხებელი გარემოებები. არავითარ შემთხვევაში არ შეჩერდეთ

**მერწყული 20.01-18.02**
**10 დეკემბერი:** დღეს ძალიან სწრაფად მოგიწევთ აზროვნება და აზრების სისწორის კონტროლი. ამან გონების დაძაბვა და გადაღლა იცის. არ გადაიწვეთ.

**თევზები 19.02-20.03**
**10 დეკემბერი:** თუ მოინდომებთ, დღეს ერთდროულად ბევრი სხვადასხვა საქმის კეთებას შეძლებთ. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა საქმეებს შეარჩევთ.

**კომპანიის დასახელება: შპს „ტურელიტ გრუპი“**

**საიდენტიფიკაციო კოდი:** 404979813

**მოსაწვევი პირები:** 1) ზაქირ ბაბაევი (აზერბაიჯანის მოქალაქე, პასპორტის ნომერი **AZEP3233083**)

2) ნინო გაბეჩავა (საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი: 01019059580)

**დღის წესრიგი:**

1) პარტნიორების მიერ განხორციელებული შენატანის დადგენა;
2) საზოგადოების პარტნიორების მიერ შენატანის განხორციელება;
3) მშენებლობის მიმდინარე პროექტის განსაზღვრა.

სხდომის ჩატარების ადგილი: საქართველო, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №4 (იურიდიული ფირმა „ბი-ელ-სი“-ს ოფისი)

**სხდომის ჩატარების თარიღი და დრო:**
2014 წლის 17 დეკემბერი, 14:00 სთ.

## რატომ ატარებენ ოპერაციას ექიმები ცისფერი ან მწვანე ფორმით



თავიდან ექიმების უნიფორმა თეთრი იყო, სისუფთავის ფერი. შემდეგ, მე-20 საუკუნის დასაწყისში ერთმა ცნობილმა ქირურგმა მწვანე ხალათი ჩაიცვა, რადგან გადაწყვიტა, რომ თვალები უფრო ნაკლებად დაეღლებოდა. დროთა განმავლობაში პრაქტიკამ აჩვენა, რომ მწვანე და ასევე, ცისფერიც, ოპერაციისთვის ყველაზე შესაფერისი ფერებია.

აღმოჩნდა, რომ მწვანე ფერი ექიმებს ორი მიზეზით ეხმარება. პირველ რიგში, მწვანე ან ცისფერი ტონები ქირურგს საშუალებას აძლევს, თვალები სისხლის ან პაციენტის ორგანოების წითელი ფერისგან დაასვენოს. როცა ექიმი წითელს ან ვარდისფერს დიდხანს უყურებს, მათ კარგად ვეღარ აღიქვამს. თავის ტვინში წითელი სიგნალი შესამჩნევი აღარ არის, იცრიცება და ამის გამო ბევრად რთული ხდება ადამიანის სხეულის ნიუანსების ერთმანეთისგან გარჩევა. თუკი დროდადრო ექიმი მწვანეს ან ცისფერს შეხედავს, თვალები წითელი ფერის მიმართ კვლავ მგრძნობიარე რჩება.

მეორე მიზეზი: წითელზე კონცენტრირებამ შესაძლოა, თეთრ ზედაპირზე ყურადღების გამფანტავი მწვანე ლაქების ილუზია გააჩინოს. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუკი ექიმი მზერას ორგანიზმის წითელი ქსოვილებიდან თეთრზე, მაგალითად, ანესთეზიოლოგის თეთრ ხალათზე მიაპყრობს, მხედველობა გაუუარესდება. სავსებით შესაძლებელია, მზერის კვლავ პაციენტზე დაბრუნებისას ქირურგს თვალებში მწვანე ლაქები უკვე წითელ ფონზეც დარჩეს. ამას კი, რა თქმა უნდა, სახარბიელო შედეგები არ მოჰყვება. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ თეთრი ყველა სხვა ფერის სპექტრს შეიცავს, მათ შორის, წითელსაც და მწვანესაც. ამავე დროს, წითელი სიგნალებისგან ტვინი განთავისუფლებას დიდხანს ვერ ახერხებს და არსებობს რისკები, ექიმმა უპატიებელი შეცდომა დაუშვას.

იმ შემთხვევაში, როცა ექიმი წითლიდან მზერას არა თეთრზე, არამედ მწვანეზე გადაიტანს, მწვანე ფერის ფანტომური ილუზიები ფონს შეერწყმება და თვალებს დასვენების საშუალებას მისცემს.

***topsy.com***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



შუაღამისას ქმარი ზის ჩუმად და პორნოსაიტებს ათვალიერებს, თან ფიქრობს, ცოლს სძინავს და ხელს ვერავინ შემიშლისო. ჰოდა, ზის და სურათებს გაშტერებული უყურებს. ამ დროს ცოლს გაეღვიძა, ტუალეტი მოითავა და ქმარს თავზე უჩუმრად დაადგა...

უცბად ქმარს ზურგსუკან ესმის:

– აბა, მოიცა! ადი ზედა სურათებისკენ... კიდევ, კიდევ... ჰო, აი, ნახე, რა მაგარია – ზუსტად ეგეთი ფარდები მინდა სამზარეულოსთვის!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია ≫21135945 7 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“** საქართველოს **კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (პეკინის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.15